

619/3
1964

ეროვნული
ბიბლიოთეკა




ცნობილი
№ 5 მაისი 1964



1964 წლის 1 მაისის დღესასწაული თბილისში. ტრიბუნაზე (მარცხნიდან მარჯვნივ). ამხანაგები გ. ი. ჩოგოვაძე, გ. ა. გეგეშიძე, მ. ი. კუჭავა, გ. ნ. ბოჩკარიძე, გ. დ. ჭავჭავაძე, ვ. პ. მუჟაგანაძე, ა. ტ. სტუჩენკო, გ. ს. ძოწენიძე, პ. ა. როდიონოვი, ო. დ. გოცირიძე, დ. გ. სტურუა, შ. ი. ჭანუყვაძე, რ. ი. ფრუიძე, ა. ნ. ინაური, ო. ე. ჩერქეზია.

ფოტო ვლ გინზურგისა და შ. ჩხეტიანისა.




საკირველგაისო კარადი და
დემონსტრაცია

ფოტო თ. არჩვაძისა.



პროლეტარებო ყველა ჰვეყნისა, შეერთდით!



№ 5 (154) მაისი, 1964 წ.

გამოცემის XIV წელი.

ყოველთვიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო
ჟურნალი



ბრიგადა ფერმისაკენ მიემართება.

საქონება და

ფოტო თ. არჩვაძისა

ილი მოეკიდათ ღამენათვე ძაღლებს. სოფელი დადუმდა და გაირინდა. სადღაც მდინარე ეხლება ქვის ლოდებს და გაგულისხმული ბუტბუტებს. სადღაც წისქვილზე ჩამოთავდა საფქვავე და მოშობილი დოღაბი ხმაურობს.

დიდი ხანია სძინავს სოფელს. პაპა სიმონს კი არ ეძინება. ის ახლა მორიგეა და ასი თვალი და ყური სჭირდება. ხბოებს უნდა დახედოს, ძროხებს ყურადღება მიაქციოს, იქნებ თეთრამაც მოიგოს. ახლად დაბადებულ ხბოს ხელის შეწყობა უნდა. ერთი სიტყვით, საზრუნავი ბევრი აქვს მოხუცს. ძველი და ახალი მოგონება და ოცნება ერთად იყრიან თავს, ერთმანეთს გადაეხეობიან, გადაეხლართებიან და მერე ვეღარც უპოვნი თავსა და ბოლოს.

გოლგოთების მინდორი. ჭეღვლაში რამდენჯერ მოსულა აქ, ბურთიც უთამაშია, უჭიდავია, ბევრჯერ გაუხარებია გულშემატკივრები...

ეჰ, კარგი იყო ჭეღვლა, მკლავიც უჭირდა და მუხლიც. კაცმა რომ სთქვას, არც ახლა უჩივის მუხლებს. ძროხას საძოვარზე რომ გაიყვანს, ჯოხს დაეყრდნობა და მთელ დღეს ფეხზე დალაშქვს.

— დაქექი, პაპა სიმონ, მუხლებში წყალი ჩაიღებება! — ეტყვიან ხოლმე ახალგაზრდები.

— დაჯდები და მერე პირუტყვს ჰკუას მოსთხოვ თუ? ჭეჭილში გადავა, გადაძოვს და გადათელავს, — არ ისვენებს პაპა სიმონი.

პირუტყვს საძოვარს ურჩევს, ნაკვეთს მორიგეობით აძოვებს და ძროხებიც კარგად ჰყავს მოვლილი.

ამ ბრიგადაში თერთმეტი კაცია, ყველა ერთნაირად გამრჩე და შრომისმოყვარე. ინათებს თუ არა, ფერმაში შემოვა ბრიგადირი ამირან ალექსაშვილი და იტყვის, დილა მშვიდობისაო. მერე თერთმეტივე გოლგოთების მინდორში გაჩნდება.

— მშვიდობა ნუ მოგკლებოდეთო, — უბასუხებს მათ პაპა სიმონი. გაიღება ფერმის კარები. ზმორებით წამოდგებიან ძროხები, მომგლეღების გამოჩენას ზმულით უხვდებიან. სწრაფად აივსება საკვებურები. მერე ახმაურდება ვედროები. გაივსება ქაფჯაფა რძით თეთრი ცისტერნები.

აგერ ის გარდამავალი დროშა, რომელსაც აწერია „ყველაზე მაღალი მაჩვენებლებისათვის“, სამი წელია მესამე ბრიგადის წითელ კუთხეს ამშვენებს. ბევრს ეცადა პირველი და მეორე ბრიგადა. მაგრამ ვერა და ვერ მოახერხეს მისი წაღება. პაპა ბურთი და პაპა მოედანო, ამბობენ მესამე ბრიგადის წევრები და გრძელდება სოციალისტური შეჯიბრება. დროშა კი კვლავ მესამე ბრიგადის წითელ კუთხეში ჰკილია.

ბრიგადამ განა მარტო წველადობით ისახელა თავი! ნამატის მიღება-შენარჩუნებითაც ყველას გაუსწრო. საერთოდ, საგარეგოს მერძევეობა-მეზოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში შემცირდა ბერწიანობა. ამას მეცნიერების მიღწევების დანერგვას უმაღლიან საგარეგოელები.

თავისი მაღლი და სიკეთე არც საგარეგოელებისათვის დაიშურა ქიმიამ. ისინიც მერხებს მიუსხდნენ და ქიმიის საოცრებების სწავლა დაიწყეს. სწავლა სიბერემდეო, თქვა პაპა სიმონმაც და თვითონაც „მოწაფე“ გახდა...

მექანიზაციის სიკეთეც ნახა მოხუცმა. ფერმაში ვიტამინური თვის გადამამუშავებელი წისქვილი მოაწყეს. დღეში ორ ტონა თვის ფქვილს ამზადებენ, კომბინირებულ საკვებში ურევენ და ისე აძლევენ მოზარდეულს. წისქვილი მათ თვის უდანაკარგოდ გამოუყენებს შესაძლებლობას აძლევს...

მექანიზატორი დ. ივანელაშვილი ამზადებს საკვებს მანქანაზე.



პაპა სიმონი.

წელს მეურნეობამ 6.600 ცენტნერი რძე უნდა მიჰყილოს სახელმწიფოს. რამდენი იქნება აქედან ბრიგადის წელიწადი? — 2.400 ცენტნერი. შეასრულებენ? ამაზე მეურნეობაში არავის ეპარება ეჭვი.

— რახან თქვეს, შეასრულებენ კიდეც, — დარწმუნებით ამბობენ მეურნეობის დირექტორი ოთარ ჩალათაშვილი, ზოოტექნიკოსი სანდრო კოსტაშვილი და მეურნეობის მთელი კოლექტივი.

ჩუმად, ფეხაკრფით შემოდის განთიადი. სოფელში ყვივან მამლები. სიმონის მოხუცმა მეუღლემაც გაიღვიძა და კერაზე ცეცხლი გააჩაღა. მინდორში წასვლამდე, ალბათ, დღესაც ეტყვის: დაბერდი ბერეკაცო, დროა სახლში დაქედ და დაისვენო, პენსია გაქვს, შვილი გყავს და ძირი...

— დაჯდები, დაჯდები, ოღონდ ნაცარი მომიშადე თავის გასართობად — ხუმრობით უბასუხებს ხოლმე მეუღლის საყვედურს პაპა სიმონი. ირიყრაჟა კიდეც. საცაა გამოჩნდება ბრიგადირი, სხვებიც მოვლენ და დაიწყება კიდეც ერთი დღე...

მედაა ცოტაბაძე

ფ36

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავ. სსრ. კ. მარქსის
სსრ. სსრ. რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

3. კარკინსკი

ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა. მას აქეთ სამოცი წელი იქნება. მაშინ უნდა ვიცხოვრობოდი, პარტიულ გაზეთში ვმუშაობდი. სადამოშობით ხშირად ველოსიპედით მივსივრებოდი ქალაქგარეთ, საღვთის მთისაკენ.

ერთხელ ჩემს წინ დავინახე ველოსიპედისტი, რომელიც რაღაცნაირად შეცნო. რაც ძალი და ღონე შექონდა, შედალს დავაწევი.

„ეს ხომ ვლადიმერ ილიჩია!“
 ლენინს რომ ველოსიპედი ჰქონდა და შენევის ბიბლიოთეკაში სამუშაოდ იმით დადიოდა, ვიცოდი. მაგრამ არაფრით არ მოველოდი, თუ ქალაქგარეთაც შევხვდებოდი ველოსიპედზე. ჩქარა მივეწვიე.

— გამარჯობათ, ვლადიმერ ილიჩი!
 — აა, გამარჯობათ, ამხანაგო კლიინსი! — მომართა ლიტერატურული ფსევდონიმით.

— საით გიჭირავთ გეზი, ვლადიმერ ილიჩი?
 — რა თქმა უნდა, საღვთისაკენ. სხვაგან სად უნდა წავიდე!

— სხვაგანაც შეიძლება. მოდით, თუნდაც შარავაზე გადავუხვიოთ...

გადავედი ბუჩქებში და ქვევით, შარავისკენ გავსწვიე. ვლადიმერ ილიჩიც მომყვა. რამდენიმე წუთის შემდეგ თავი ამოყვავით კამკამა, მორაკაკე მთის მდინარის — არვის ნაპირას, რომელიც ქვევს შორის მოწაწყარებდა.

— ეს არის არვი? — გაცდა ვლადიმერ ილიჩი.

— სულ არ ჰგავს იმ მდვირე მდინარეს, ქალაქში რომ მოედინება. აქ პირდაპირ მთებიდან ჩამორბის. ჩვენ სიამოვნებით წამოვწყვეით მწვანე მდელოზე და დიდხანს ვდუმდით, ვტკბებოდით სივრლითა და მთის მდინარის მელოდური ჩუხჩუხით.

მერე ვლადიმერ ილიჩმა ჩუმად თქვა:
 — სულ ისეა, როგორც ჩვენთან, ვოლგაზე, ყაზანს ქვემოთ!

— ანდა, როგორც ჩვენთან, სადმე სურაზე, პენზის ქვემოთ! — კვერი დაეუყარი მეც.

— თქვენ პენზელი ხართ?
 — დიახ, ვლადიმერ ილიჩი, პენზელი. იქ დავიბადე და პენზის მერე გიმნაზიაში ვსწავლობდი. იქვე ჩამოვაყალიბე მოსწავლეებისაგან სოციალ-დემოკრატიული უჭრედი.

— აი, რა უოფილა... პენზაში ჩემი ნათესავები ცხოვრობდნენ...

და გამომითხა პენზის შესახებ.

კარგა შეღამებულზე დავბრუნდით უნებავში.

ამ შეხვედრის შემდეგ მოვიფიქრე უსათუოდ წამეყვანა ვლადიმერ ილიჩი სასტირნოდ უფრო შორს. დიდხანს უარობდა, მოუცლელობას იმიზეზებდა. ბოლოს დამთხმბდა.

დილაადრიაან ფრთხილად მივაკაკუნე იმ სახლის დარბაზს, სადაც მაშინ ცხოვრობდნენ „ილიჩები“

— ასე გეძახდით ვლადიმერ ილიჩსა და ნადეჟდა კონსტანტინოვნას.

— ახლავ, ახლავ! — ფანჯრის იქიდან გაისმა ნადეჟდა კონსტანტინოვნას ხმა და დარბაზი გამოალო.

— გამარჯობათ, ვიარსლავ! ახლავე გამოვა ვლადიმერ ილიჩი!

გამოჩნდა ისიც, სამგზავროდ გამოწყობილი, ველოსიპედით, მხრებზე რუკაჯიკით...

— იცოდე, ფრთხილად იარე, ვალოდა! — სიტყვა დავაწვინა ნადეჟდა კონსტანტინოვნამ.

— ჩემი დარდი ნუ გაქვს ნადია, პირველად ხომ არ მივდივარ.

ველოსიპედებს გადავაქვით. ნადეჟდა კონსტანტინოვნას ხელი დავუქნიე.

— დიდი ხიდისაკენ? — იკითხა ვლადიმერ ილიჩმა.

— არა. ასე შორი გზის მოვლა მოგვიხდება, — ვუპასუხე მე. — ქვემოთ, ელსადგურის მახლობლად მდინარეზე მერე ხიდა. აი, იმ ხილით გავალთ რონას ვალამ.

გზაზე ვლადიმერ ილიჩი გავფრთხილე, რომ ელსადგურისაკენ, მდინარის გასწვრივ, თავქვეზე მოგვიწვივს სიარული და რომ ზედ ხიდან გზა უცებ

უხვევს. დაშვებისას სიფრთხილე საჭირო, მუხრუქებს გამოდებით უნდა აწვიბოდე.

როგორც კი ციკაბოს მივუახლოვდით, ილიჩი მომეტებული სიჩქარით დაეშვა თავქვეზე. მეც მივყვიე. შიშისაგან ხმაწართმეულმა მივაძახე:

— დაამუხრუქეთ, დაამუხრუქეთ!

ვლადიმერ ილიჩი ცდილობდა დაამუხრუქებდას, მაგრამ უკვე გვიან იყო. მოსახვევში მარცხენა მხარი წაჰკრა რკინის მოჭირს. ველოსიპედის ჩიბიდან საზეთე გადმოვარდა და წყალში ჩავარდა.

ეს სულ ერთ წაშში მოხდა, ჩემს თვალწინ და შეველა კი არანაირად არ შემიძლო!

მივვარდი ვლადიმერ ილიჩს და ვკეითხები, თან ენა მებმება:

— ვლა-დი-მერ... ილი-ჩი... რამე იტყინეთ? ძლივსძლივობით მითხრა:

— ჰო, ჰო... რა თქმა უნდა... მაგრამ... მგონია... ძალიან არა.

გულზე მომეშვა... „კიდევ კარგი, — გავიფიქრე, — რომ მოჭირის მიენარცხა და არა რკინის ბოძს!“

— ვლადიმერ ილიჩ, მოდით, ეგებ მანქანიდან გადმოხვიდეთ. მარცხენა ხელი კისერზე მომხვიეთ... ასე... მარჯვენა საჭეზე გაქონდეთ. შეეცადეთ მარჯვენა ფეხი გადმოდგათ.

ძლივსძლივობით გადმოვიდა მანქანიდან ვლადიმერ ილიჩი.

— მგონი, არაფერია... დგომა შემძლება... აბა, გავლა ცვალა...

მანქანას საჭეზე მოჭკიდა ხელი და ხილზე რამდენიმე ნაბიჯი გავიარეთ.

— ოღონდ, აი რა: ნადეჟდა კონსტანტინოვნასთან ამაზე კინტი არ დასძრა!

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ვლადიმერ ილიჩ!

ერთხანს კიდევ ვიდექით ხილზე. მერე ელსადგურის სანახავად წავიდე.

სიამოვნებით შეგვიშვეს სამანქანო განყოფილების დასთვალიერებლად. ოღონდ გვეითხეს:

— რუსები ხართ?
 — დიახ.
 — ბოლშევიკები თუ მენშევიკები?
 — ბოლშევიკები!
 — ძალიან კარგი!

შეგვიყვანეს დიდ დარბაზში, სადაც მანქანები გუგუნებდნენ. იქ ხალხს უკვე მოეყარა თავი.

ინჟინერმა თქვა:
 — ეს ამხანაგები რუსეთიდან გვეწვიენენ, ბოლშევიკები არიან.

დარბაზში გაისმა ტაში და წამოძახილები:
 — სალამი ბოლშევიკებს!
 ვლადიმერ ილიჩი გაიბადრა და საპასუხოდ ტაში შემოჰკრა.

— მალე მოხდება რევოლუცია რუსეთში? — იკითხეს დარბაზიდან.

— მალე! — დაიძახა ლენინმა და სიტყვა ითხოვა.

— ამხანაგებო! — თქვა მან. — თქვენ შეეცადეთ პოლიტიკური თავისუფლებისაკენ ისწრაფეთ. ჩვენც, რუსეთში ვებრძვით მეფის თვითმპყრობელობას და მალე დავამხობთ მას.

ისევ გაისმა ტაში.

— მერე? — ისევ მოისმა შეკითხვა.

— მერე სოციალიზმისათვის ვიბრძობებთ (ტაში). და ვნახოთ, ვინ მალე ააშენებს: თქვენ თუ ჩვენ.

— ბრავო, ვაშა!

ჩვენ მეგობრულად დავემშვიდობეთ შევიცარიელ ამხანაგებს. ვლადიმერ ილიჩი ძალიან კმაყოფილი იყო ამ შეხვედრით, მეტადრე კითხვით: „მერე?“

რონას მარჯვენა ნაპირს დავუყვიეთ. მდინარემ სადღაც მარცხნივ გადაუხვია, აღმოსავლეთისაკენ, და თვალს მიეფარა. მარცხნივ გადაიჭმა ტყიანი გორები — იურა.

დიდხანს ვიარეთ მხარდამხარ. ვტკბებოდით ბუნებით. ორიოდ სიტყვით თუ შევეხმიანებოდით ერთმანეთს.

უცებ გზის მარცხენა მხარეს, მეჩხერი ბეჭებისა და ბუჩქების იქით, ვლადიმერ ილიჩმა შორს, აღმოსავლეთისაკენ დანახა მზეზე მოლაპაპე წყლის გრძელი ზოლი.

— ტბაა? — იკითხა მან.

— არა, ვლადიმერ ილიჩ, ეს რონის მიდევარით. გზას ვაგრძელებთ.

— შენდევ, — ამბობს ვლადიმერ ილიჩი, — ბუჩქებს იქით წყალი დგას! მერე რამდენი... მთელი მდინარეა!

— ეს რონამ ინება აქ მობრძანება. ყურადღებით დააკვირდით, მალე თავის ოინებს გვაჩვენებს.

— რა ოინებს?
 — თვითონ ნახავთ.

მივყვივით ისევ იმ გზას. უცებ ვლადიმერ ილიჩი ამბობს:

— შეხე, შეხე... ბუჩქებს იქით, ნაპირზე სულ უფრო და უფრო გახშირდა დიდი ლოდები. აგერ, წყლიდან ამოშვერილა, იმას იქითაც, მდინარის გასწვრივ. ეს რა ამბავია. არა, თქვენ უყურეთ, რა ხდება. ლოდები სულ უფრო და უფრო მეტია, წყალი კი იკლებს!

რამდენიმე წუთის შემდეგ ვლადიმერ ილიჩი შედგა და დიდხანს გაცეცხული მისჩერებოდა თვალსა და ხელს შუა გამჭრალი მდინარის ქვიან კალაპოტს.

მერე ბუჩქზე გრძელი წკება მოსჭრა, მშრალი კალაპოტის ფსკერზე დაუშვა და დაკვირვებით ათვალერებდა ღრმულებს ქვევს შორის, შიგ წკებალას სჩრიდა. მერე ნაპირზე ამოვიდა და მითხრა:

— წყალი არსად არ არის!

— აი ბუნების ამ საოცარ მოვლენას ჰქვია „რონას გაჭრება“.

— დიახ, დიახ იყო მდინარე და აღარ არის, გაჭრა!

ვლადიმერ ილიჩი ჩაფიქრდა. მერე მითხრა:

— მოითმინეთ, მოითმინეთ! კი მაგრამ გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში რატომღა წერია — რონა უერთდება ხმელთაშუა ზღვას, როგორც ვოლგა — კასპიისს. ასეა თუ არა!

მომჩერებოდა და დამცინავად ეღიმებოდა.

— ვლადიმერ ილიჩ, ცოტაც გავიაროთ და ყველაფერი ცხადი იქნება.

— წავიდე, წავიდე. თქვენთან კაცი ხომ ვერაფერს ვახდებ!

გავიარეთ კიდევ რამდენიმე კილომეტრი. აგერ მშრალ ქვიან კალაპოტში რაღაცამ იელვა ერთგან, მერე ორგან... კიდევ, კიდევ, ყველგან...

ვლადიმერ ილიჩი გამოცოცხლდა.

— აი თურმე რა უოფილა! — გაიძახოდა მხიარულად... შვეთუნახავი რონა სტუმრად იყო ქვესკნელის გოლიათთან, ახლა ჩვენთან ბრუნდება დღის სინათლეზე. ვაშა!

გზისპირა დუქანში შეჩერდით. ავიდეთ შესანიშნავი შვეიცარიული „როკაში“ — ყველანაირი ბოსტნეულის სუპი და ერთი ბოთლი ლუდი, გავსენით ნადეჟდა კონსტანტინოვნას გამოტანებული საგზაო. მადიანად ვისადილეთ. მერე უკან გავბრუნდით.

მე შევთავაზე ტყეში შეგვევლო და დავგვსვენა. ვლადიმერ ილიჩი სიამოვნებით დამეთანხმა. ავუყვიეთ ბილიკს, შევიდით ტყეში, ხალხზე წამოვწყვეით და ჩიტების უფურცულში ჩავგვიძინა.

კარგად დასვენებულები გავუღვივებთ გზას.

ახლა ცოტას ვლაპარაკობდით. მახსოვს, ვლადიმერ ილიჩი მიუყვებოდა უნებვის წყლით პარისის მონარაგების საინტერესო პროექტზე. ამისათვის საჭირო იყო არცთუ ისე მაღალ იურას გორაკებში გვირბის გაყვანა და საფრანგეთის დედაქალაქამდე წყალსატევის მიყვანა. პარისელები უხვად მიიღებდნენ მთის კამკამა წყალს. მაგრამ ეს პროექტი ჩაშალეს პარისელებმა კაპიტალისტებმა, რომლებიც ქალაქს უფარგისი წყლით ამარაგებდნენ და ისიც არასაკმარისად.

უენევაში სადამოთი დავბრუნდით. ნადეჟდა კონსტანტინოვნა ღია ფანჯარასთან იჯდა, წიგნს კითხულობდა.


ვლადიმერ ილიჩი ფიცხლად გადმოხტა მანქანიდან.

— ო, ნადია, რა საოცარი სტირნობა გვექონდა! საოცარი — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით! ბუნების ჭეშმარიტი საოცრება ვიხილეთ! მთელ სადამოს გვეყოფა მოსაყოლად. მადლობა უთხარი ვიარსლავს!

— კარგი, კარგი, ვიცით, რომ გმირი ხარ! აბა, შემოდი და შენი რაშიც შემოიყვანე. ალბათ, დილაღ, არა?

— სულაც არა! ჩვენ ტყეში დავისვენეთ! მე გამოვთხოვე ჩემთვის ძვირფას ადამიანებს და წამოვიდი.

თარგმან ნათილას ჰელენტამ



ნაკნაჲ ღელსაჲჲას სუჲათჲა

უუჲჲა

თავისუფლება შემომდგარა ბარიკადაზე,
მკერდგაღვილი ქალს წაფრენია ბალღი კალთაზე,
ის მიუძღვება ამხედრებულ ღარიბ-ღატაკებს,
თავისუფლება შემომდგარა ბარიკადაზე.
თვალცეცხლიანი მოკვებებიან მუამბოსენი...
არა ორგისი, არა ბოქმისი, —
მშვენიერების სული ყალყზე შედგა ბორგვითა,
და ისმის მსხვერფა მძიმე ბორკილთა.

ლამაზი ქალი, —
დედა,
დაი,
სიცოცხლის წყარო,
დროშას სწვევს მაღლა...
აფრიანებ შენ დროშას, ქარო!
პოეტის სული (დელაკრუას სული მღელვარე)
თავისუფლებას ითხოვს მჭეხარ ბარიკადაზე.
ლამაზი ქალის თვალში ვენების ცეცხლი ელვარებს,
ლამაზი ქალი მიუძღვება ღარიბ-ღატაკებს.

და არა თრთოლვით,
არამედ დროშით,
თოფების ბოლის
მსუბუქი ქოშით,
ის მოდის, მოდის, წაფრენია ბალღი კალთაზე...
თავისუფლება შემომდგარა ბარიკადაზე.

შენ გაუნათებ ზღვაში გასულებს,
როცა ხომალდებს ტალღები სცემენ,
ღამეში აფრა შენ მოგაშურებს,
ნაპირსაკენ ეძახი გემებს.

გაშტერდებიან მესღვაურები,
და არ გაშორებს თვალს კაპიტანი,
ეძახი, ელი, ეხმაურები...
შენი სადგომი კლდეა პიტალო.

და გადაკეცვებ ზღვას უნაპიროს,
ატორტმანებულს ღამის უბეში,
თითქოს ხმელეთი ჰქაჩავს პაპიროსს
და მესღვაურებს უხმობს ნუგეშით.

შენშია შვილი, ცოლი და დედა,
ზღვაში დაგვექმე მათი თვალებით.
და შუა ზღვიდან როდესაც გხედავთ,
ცეცხლი მიწისა გვწვავს მხურვალეებით.

უგზო-უკვლობის არ გზარავს ზაფრა,
შენა ხარ მიწა — იმედი ჩემი,
და შენსკენ ილტვის დაღლილი აფრა,
და შენსკენ ილტვის დაღლილი გემი.

მზა

ეს გზა გადადის სასაფლაოზე
და იმას იქით კიდევ გრძელდება,
ძველზე ძველია და ნუ გაოცდები,
რომ ის არასდროს არა ძველდება.

ზოგნი მიდიან და ბრუნდებიან,
გზად ხან მზეა და ხანაც თოვლია,
ზოგს იგი სადღაც გაძრუდება,
დაბნეულა და კვლავ უპოვია.

ამ გზით წასულან ომში ბიჭები,
ელის და ზოგნი აღარ მოდიან,
იქით მუხები, აქეთ ფიჭვები,
აქ კი ურიცხვი თეთრი ლოდია.

ძველზე ძველია და ნუ გაოცდები,
რომ ის არასდროს არა ძველდება,
ეს გზა გადადის სასაფლაოზე
და იმას იქით კიდევ გრძელდება.

კაკიკოსი

ბლოკუსთან

მარადის მახლავს თამბაქოს ცეცხლი,
თამბაქოს ბოლი

ბუხრის კვამლივით,
მე იგი მუდამ მიჭირავს ხელში,
ვით ბროწეულის თოთო ყვავილი.

გზადაგზა მრჩება თუთუნის ფერფლი,
განვლილ გზას იგი აყრია ნაცრად,
გაუხურდება სხვა გამვლელს ტერფი,
შემრავს შიგ მძინარ ნაპერწკლის განცდა.

მრავალი ცივი გავათბე წამი
ამ მცირე ცეცხლით,
ამ მცირე ბოლით,
შეგბრძოლებივარ უხიაგ ამინდს,
ზედ შედნობია ფიჭვები თოვლის.

ამ პაპიროსით კვლავ გხვდები ცისკარს,
კვლავ ღამეს ვათუე ჩემ ფანჯარასთან,
როგორც არწივის ცეცხლიან ნისკარტს,
თითებით ვახლი ბნელს და წკვარამსა.

სხვაა ცეცხლიან სიტყვის ლოდინი, —
პაპიროსივით

ცეცხლი მოედოს...
ფილტვებს მიგანგავს ეგ ნიკოტინი,
ეგებ დენთია ლექსის, პოეტო?!

მარადის მახლავს ეს მცირე ცეცხლი,
ეს მცირე ბოლი

ბუხრის კვამლივით,
მე იგი მუდამ მიჭირავს ხელში,
ვით ბროწეულის თოთო ყვავილი.

ჩემი პატარა ბიჭი
ეთამაშება გლობუსს,
ხელს დაჰკრავს, დააბრუნებს,
დაბზრიალდება გლობუსი.
ხან სპილოთბას ჩემობს,
ხან იქადნება მგლობას,
და ვაჟაკობას ეძებს
სპილოთბაში, მგლობაში.

ხელს დაჰკრავს გლობუსს, პყვირის
ალტაცეხული: — ბრუნავს!
სადღაც ზუსუნებს სტვირი,
სადღაც გუგუნებს ორღანო.
ნეტავი როგორ იძახდა
ამას ჯორღანო ბრუნო?!
როგორ იძახდა, კოცონის
ალზე შემდგარი ჯორღანო?!

ჩემი პატარა ბიჭი
შეახტებს თითებს თოთოს,
ჯერ არ გასვრია ხელი
მას დედამიწის ტალახით.
რა იცის, სად წვიმს, ანდა
ხვალ რომელ გზაზე მოთოვს,
რომ უდაბნოა ზოგან,
ზოგან — ბიბინა ბალახი.

ხელი შეახო იქნებ
იმ ადგილს, საცა ასლა
ქარბუქია და ყინვა
თოშავს მაძებარ გეოლოგს,
ან — საცა კაცი შევლას
ითხოვს და გერვინ ნახა,
უხმობს და ძალა არ აქვს
ძახილი გაიმეოროს.

სადღაც ცხვრის ფარას მგლების
წატანებია ხროვა,
სადღაც მშვიდი და წყნარი
სასაფლაოა სპილოთა.
სადღაც რბევა და ჯანყია
და უმოწყალო გლოვა,
სად მიწას ცხელი ბომბები
გადააყარა პილოტმა.

სადღაც ბობოქრობს ასლა
ოკანზე შეტორმი, —
ჩაჰყვინენ ჩაძირულ გემებს
მხნე კაპიტნები გულქვანი.
შეჯახებია სადღაც
თეთრებს შავების ტომი,
სად კონარიბეს აქცევს
ვილიარიკის ვულკანი.

სადღაც წყველიან უკვლმართს
წუთისთფლისა ბრუნავს,
სად — კაცის სული ინგრევა,
ვით ბაბილონის გოდოლი.
სადღაც ქცეულა მიწად
ფერფლი ჯორღანო ბრუნოს,
(იქნება სადღაც მისი
სულია მუხის ფითოლი?).

და ჩემი ბიჭი, აგერ,
ეთამაშება გლობუსს,
ხელს დაჰკრავს, დააბრუნებს,
დაბზრიალდება გლობუსი.
ხან სპილოთბას ჩემობს,
ხან იქადნება მგლობას,
სულ ეჯობება ვილაცას
სპილოთბაში, მგლობაში.

კაპიტლის საყაროა



შუადღის შესვენებაზე.

ძია გიგო

აღრბანი დილაა. ჯიხურში ერთი მკვრივად ჩასხმული, ქმუხი კაცი ზის და ბევრად რომ ეხვეწო, კარს იჭით უსაშვებოდ ფეხს არ გადაგადგმევინებს. ქარხანაში შესვლის მსურველები კი ამ ბოლო დროს ძალიან მომრავლდნენ. აქ ქიმიურ სასწაულებს ახდენენო, და ხალხიც ზღვასავით აწყდებიან. დღე ისე არ გავა, რომელიმე სკოლიდან ან უმაღლეს სასწავლებლიდან ორი ან სამი ექსკურსია არ მოადგეს ქიმიკს. და განა მართლ თბილისელები? ქიმიის მოყვარულები სხვა ქალაქებიდან და სოფლებიდანაც ჩამოდიან. მათ ქარხნის დირექტორის სპეციალური ნებართვა მოაქვთ, კარში მდგომივე ურადლებით შეხედავს მათ, გაუღიმიებს და, მობრძანდით, გენაცვალეთ, ისე ტკბილად ეტყვის, რა ოქრო კაციაო, ათქმევინებს ადამიანს.

ასეთი ხასიათი აქვს გიორგი ხუროშვილს. მის უნებურად თბილისის პლასტმასის ქარხანაში ვერც შეხვალ და ვერც გამოხვალ. მეთორმეტე წელიწადია, რაც მას ქარხნის დარაჯობა აბარია.

ბორცვებიდან მზის პირველი სხივები ამოიწვერა. გიორგი ჯიხურიდან გამოვიდა, ხელები გაშალა და ის იყო გრილი, გაზაფხულისა და მიწის სურნელებით გაუღიმიოდა ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა, რომ წინ სამი ქალიშვილი აეტლუა.

- გამარჯობა, ძია გიგო... ჩვენი კომპაგნიის მდივანი ილია მჭედლოშვილი ხომ არ მოსულა?
- არა, ჭირიმე, თქვენა ხართ პირველი მერცხლები! — იღიმიდა ძია გიგო.
- მაინც რომელი მერცხალი უფრო მოგწონს ჩვენს ქარხანაში, ძია გიგო, — კისკისებენ ქალიშვილები და ელოში კისრისტებით შერბიან.
- ზო, თქვე პლასტმასის გოგონებო, თქვენა! — უსადალ უჯვრდება მათ ძია გიგო და თვითონაც ჩუმად ხითხითებს. განა ტყუილი უთხრა: მართლა მერცხლები არიან ეს გოგონები. უთენიას მოდიან ქარხანაში და ყოველ მოსვლაზე მერცხლებით კიდე ერთი ლამაზი დღის დაწყებას მოახარებენ ხოლმე. ზეპირად იცის სამივეს ვინაობა. ერთი მაყვალა მიდელაურია, მეორე ვალია ბაგაევა, მესამე ნორა კულუხოვა, სამივე საწნებ-დამამუშავებელ საამქროში მუშაობს და ძია გიგოც იმიტომ ეძახის მათ „პლასტმასის გოგონებს“.

სადღაც საყვირის გუგუნე გაისმა. თითქოს ამას უცდიდაო, ხეობიდან ფრთამალმა წიაფა დაჰბერა. შესასვლელს ხალხის ნიადაგარი მოაწყდა. ახლა ყველას ერქარება და ახლო ნაცნობებიც კი შორიდან ესალმებიან დარაჯს. ძია გიგოს არა სწყინს. იცის, საქმის დროზე დაწყება წარმატების საწინდარია, და საამქროებისაკენ ჩქარი ნაბიჯებით მიმავალ მუშებს კეთილი მზერით აცილებს.

მერე დათქმულებით, ქიმიკის დატვირთული მანქანები მოადგებიან, დარაჯი შოფრებს ჯერ საშვებს შეუმოწმებს, ძარასაც გულდასმით შეავლებს თვალს და რკინის უზარმაზარ კარებს ღრჭიალით გაუღებს. მანქანებს ბლომად მოაქვთ ფენოლასტის წითელი, მწვანე, მუქი და შინდისფერი ფხვნილი, ვლადიმირელი, ნიუნიტაგილი, კემეროველი და ორეზოგოზუევი ქიმიკოსები თბილისელ მეტალსტამასებს დიდი რაოდენობით უგზავნიან თავიანთ ნახელავს. შარშან და შარშანწინ რომ მოჰქონდათ, იმდენ ნედლეულს ახლა ათ დღეში აწვდიან, იზრდება ქარხანა და ნედლეულსაც ბევრს თხოვლობს, ძია გიგოს ისიც ახარებს, რომ დღეს იქნება თუ ხვალ, საპლასტმასე მასალას აქვე უყრისძირიდან — რუსთავიდან მიიღებენ. მაშინ ალბათ ქარხანა კიდე უფრო გაფართოვდება მხრებში, გაიზრდება და მის დარაჯსაც ასობით კი არა, ათასობით „პლასტმასის გოგო“ დაუძახებს „ძია გიგოს“.

„პლასტმასის გოგონები“

საამქროში დასადგურებული სიჩუმე წკრილა ხმამ დაარღვია: — გოგონებო, იცით, რა, მოდით დამკვრელი ჭკუფი შევექმნათ. ქალიშვილები გარსემოერტყნენ მაყვალა მიდელაურს, ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. ბოლოს გადაწყვიტეს შევექმნათ ასეთი ჭკუფი, სხვებიც აეყოლებინათ და მთელს საამქროში დამკვრელური შრომა გაეჩაღებინათ...

ეს რამდენიმე თვის წინათ მოხდა. იმ დღიდან გოგონებმა მხარი მხარს მისცეს. თვითული მათგანის მიერ ყოველდღიური ნორმის შესრულებამ 180-140 პროცენტს გადააჭარბა. ეს ამბავი მალე ყველასათვის გახდა ცნობილი. საამქროს უფროსი მამია კვაჭანტირაძე, ეს ორ მეტრს გადაცილებული და ქარხანაში სიმალის ჩემპიონად წოდებული ვუკაცი, ბავშვით გახარებული იყო. ახლა მასაც მართებდა დაფიქრება. გოგონებისათვის ხელისშეწყობა იყო საჭირო. მაყვალა მიდელაურს, ვალია ბაგაევას და ნორა კულუხოვას საამქროს შუაგულში მიუჩინა ადგილი და ამით მოწინავე მწნებავების „სამაიას“ ფართო ასპარეზი მისცა. საამქროს გულში თვალსაჩინო ადგილზე გაჩნდა ლოზუნგი: — შვიდწლედის გეგმა შევასრულოთ 14 თვით ადრე!

მწნებავებმა გოგონების წამოწყება ერთსულადად ატაცეს. საწნებ-დამამუშავებელ საამქროს ქარხნის ტვინს უწოდებენ. ყველგან მკაცრი წესრიგი სუფევს. ასობით ადამიანის ძალა და სწრაფვა გადაქციულია ერთ ძლიერ დინებად: დამზადონ პლასტმასის რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი ნაწარმი. ისინი დღეში 600 დასახელების ათეულ ათასობით დეტალს წნებავენ. აქაური ნამზადი ჰაერით სჭირდება ხელნაწყოთმშენებელ, ელექტროტექნიკურ, მანქანათმშენებელ და სამშენებლო მრეწველობას. მართოქართული ელმავლისათვის 70 სახის ნაკეთობა მიაქვთ. მოთხოვნილება დღითიდღე იზრდება, რადგან პლასტოკური მასელები, რაც დრო გავლის სულ უფრო გაბედულად ცვლის ფოლადს, თუჯს, რკინას, თითბერს და სხვა ძვირადღირებულ ლითონს.

პლასტმასის წნევა ძნელი ქიმიური პროცესია და გონებრივ გამჭრიახობას მოითხოვს. ამაში მაყვალას და მის მეგობრებს ძნელად თუ დაუღებს ვინმე ტოლს, ეს ახლა, თორემ პირველ ხანებში არც მათთვის იყო ადვილი. არასოდეს დაავიწყდება მაყვალას პირველი მარცხის სიმწარე. თიანეთის რაიონის სოფელ ლულაოვანის მკვიდრი გოგონა სწავლისა და შრომის წყურვილით ეწვია დედაქალაქს. პირველად გაუჭირდა. მერე კი, ამხანაგების დახმარებით, საქმეს ალღო აუღო და ქარხნის კოლექტივს ღვიძლივით შეეთვისა.

ვალია ბაგაევა და ნორა კულუხოვა კი ადრე, ვიდრე აქ მოვიდოდნენ. ელექტროტექნიკის ამწეობებდა მუშაობდნენ. ამიტომ აქ არ გაჭირვებიათ და ოციოდღე დღეში გაიწაფეს ხელი.

მეთხუე წელია მეგობრობენ და ამ ხნის მანძილზე ვინ იცის საერთო საქმისათვის რამდენჯერ გამოუღვიათ თავი.

- ასე იყო იმ დღეებში. ქარხნის კომპაგნიის დია კრება ტარდებოდა. მეგობრებმა ადრე დაიჭირეს თადარიგი. საკითხი საფუძვლიანად გაარჩიეს, შეისწავლეს და სიტყვით გამოსვლა ვალიას დაავალეს. კლუბი ხალხით იყო გაქვდილი. მსჯელობდნენ პროდუქციის ხარისხიანობის საკითხზე და ახალი რეჟერების გამოძებნაზე. ვალია დინჯად ავიდა ტრიბუნაზე, აუდიტორია შეათვალთვრა, არიან თუ არა მუშაობისათვის და მერე მოსდგა მათ: ბოლოსდაბოლოს, როდემდის უნდა გავრძელდეს ასე, ნუთუ არ არის დრო, შეიგნოთ, რომ უხარისხო ნედლეული გვაფერხებს. თუ საქმის ხელი მოჰკიდეთ, ვაკეთეთ როგორც საჭიროა, არა და ხელს ნუ გვიშლით, იოლი სამუშაო სხვაგან ეძებეთ!
- ბიჭოს, — გაიკვია ვივი პასაჟილიმა, — ორი წლის წინათ წნებთან მისვლის ეშინოდა და ახლა ლამის კედლები ჩამოიღოს დაბლა!
- რას ერჩი, ბიძიკო! მთელი საამქროს სათქმელსა და გასაჭირს ამბობს! — შენიშნა ხანში შესულმა მწნებავმა. ამ კაფანდარა გოგონამ გულისჩავრი ამოყარა მას.

საწნებ-დამამუშავებელ საამქროში უმეტესობა ახალგაზრდები არიან. ისინი მომზადებულად შეხვდნენ პარტიის დეკემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც თავიანთი ცხოვრებისა და საქმიანობის შექმნადად დაიხსნეს. ბევრი მათგანი: ნაწული სამადეზილი, აბესლომ გოგოლაძე, სულიკო ბეშქენაძე, ვივი ძირკველიშვილი და მათი ამხანაგები დავალებებს 160-180 პროცენტით ასრულებენ. მათ ვალდებულებად აღდგენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად ვადაზე ადრე

შეასრულონ შეიღწევის გეგმა. ამისათვის იბრძვის ახლა მთელი ცვლა, ყველა კომუნისტი, კომკავშირელი, ქარზნის მთელი კოლექტივი, რომელიც თვეზე მეტია სამოცდახუთი წლის გეგმით მუშაობს. „პლასტმასის გოგონებმა“ კი ყველას გაუსწრეს და საცა სამოცდაექვსსაც მიუკაკუნებენ.

ოსტაბი და მისი უზვირღები

გაბო მამინაშვილი მაღალ-მაღალი, მუდამ ღაზითანად ჩაცმული და თმა-შეჭალარავებული კაცია. ოჯახში მეთუღლე და ქალიშვილები სიკობტავის მოტრფილეს ეძახიან. აქაც თავისი უბანი ხანმუშოდ აქვს მოწყობილი: სისუფთავე — ხანმუშო, ნედლეული — მომარაგებული. მის მოქმედებას ორი წყვილი თვალი მოჯადოებულივით მისჩერებია. გაბო მწინეხავ-კონტროლიორია, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მომავალი მწინეხავების აღმზრდელიც არის. ამ მოვალეობის შესრულება კი ყველას არ შეუძლია. ამისათვის გამოცდილება და ერთგვარი პედაგოგიური თვისებებიც უნდა ჰქონდეს კაცს. გაბოს ახლა ორი

შეგირდი ჰყავს, ციური და ბადრი სულაბერიძეები. ისინი ცოლ-ქმარი არიან. თქვესმეტი წლის ასაკში შემყვარებიათ ერთმანეთი, მაღლ ოჯახიც შეუქმნიათ და ახლა პლასტმასის წინეხვის ხელობასაც ერთად ეუფლებიან. მანამდე ბადრი საბჭოთა არმიის რიგებში იყო გაწვეული. იმავე ხანებში ციურიმ კარგად შეიტყვის ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა.

— სწავლას უსათუოდ გავაგრძელებთ! — ამბობს მუდამ მხნარული ციური. მაგალითისათვის შორს არ სჭირდებათ წასვლა. მათი ოსტაბი ორმოც წელს გადაცილებული კაცია და ახლა სწავლობს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს განყოფილებაზე. მორჩება თუ არა მუშაობას, კონსპექტებს ამოიღლია-ვეებს და ლექციებზე მიეშურება.

ასეთ დროს ციური და ბადრი დამოუკიდებლად მართავენ მანქანას. თვეც არ იქნება, რაც აქ არიან და წინეხვას ჩინებულად აუღებს ალღო. ციური უკვე ჩაწვდა ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს“ ზღაპრული თითურების დამზადების საიდუმლოს. იცის, მისი ნახელოვი მეჩაიე ქალებს შრომას რომ შეუმსუბუქებს და საქმეში გულის ჩითბოს აქსოვს. არც ბადრია ნაკლებად ხელმარჯვე. დეტალებს უზაოდ ამზადებს და ბევრიც რომ უტრიალო, ხინჯს ვერ უშოვი. მერე კი, როცა ახალი ცვლა მოდის და დანადგარები ცოტა ხნით, თითქოს სულისმოსათქმელად დუმდებიან, ბადრი და ციური კმაყოფილები ტოვებენ ქარხანას.

— ბარაკალა თქვენს მარჯვენას! ახალგაზრდები ვართო, ამთ უნდა თქვანი — გასცქერის მათ ძია გიგო და დაკორძებულ ხელს ჰაღარა თმაზე ისვამს, თავისი რეელობა აგონდება; ცოლ-ქმარს კი შინ პატარა გელა მიიღიო. ბებია-თან არხენად კი გრძნობს თავს, მაგრამ დედის კალთა სულ სხვა არის და თვალებიც ისულ კარებისაკენ უჭირავს.

ინჟინერის თვალი

— გურამ, ჩემი წნები კაპრიზობს, ვერ გავუგე რა სჭირს, იქნებ რამე მოუხერხო! — შორიდან დაუძახა ქერა ჰაბუკმა ჩვენს მეგზურს გურამ ფირცხაღვას. მაშინვე მისკენ გავეშურეთ. ინჟინერი მალე მორჩა დანადგართან კირკიტს. მას პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ფაკულტეტი შარშანწინ დაუმთავრებია, პირდაპირ აქ მოსულა და ცოდნას ტექნიკური აზრის განვითარებას ახმარს, რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების შემოქმედებით საქმიანობას უძღვის. ახალგაზრდა ინჟინერის თვალი ყველაფერს სწვდება, ის უმალ გრძნობს მთელი საწარმოს მუშაობის რატმს და ცდილობს წუთითაც არ დაირღვეს იგი.

ვიწრო კიბით დაბლა სართულში ჩავედით. თერმომლასტების საამქროში ავტომატებთან თეთრხალათიანი ადამიანები ფუსფუსებენ. ეს პირველი საამქრო საქართველოში, რომელიც რუსთავის ხელოვნურ ბოქოს ნედლეულად იყენებს და მსუბუქი მრეწველობისათვის საათში ხუთი სახერხის 50.000 ნამზადს უშვებს. ეს როტორული ხაზი ყველას ყურადღებას იპყრობს. იგი ახალი დამონტაჟებულია და პლასტმასების დამუშავებაში წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, მალე აქ კიდევ ხუთი ასეთი მაღალმწარმოებლური ხაზი დაიდგება. ნახევრად ხელით სამართავ წნებებთან მას შეუდარებლად დიდი უპირატესობა აქვს. ის ნედლეულის დოზირებას, ჩატვირთვას, დატალღებებს, დაწინებვასა და საბოლოოდ დამუშავებას ავტომატურად ასრულებს.

— ჩვენი ქარხანა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ კომუნისტური შრომის საწარმოს საბატიო სახელი მოიპოვოს, — გვეუბნება გურამი და მზა ნაწარმის საწყობში შეგვიძღვის. მოწვევებული პროდუქცია მაღალჭერიან კედლებში ძლივს ეტევა. ჩანიანი ჰაბუკები მარჯვედ ტრიალებენ, ხის მაგარდნა-ჭედი უთები მსუბუქად აქვთ კარსმომდგარი მანქანების ძარაზე და ძვირფას პროდუქციას გზას ულოცავენ ჩვენი დიდი სამშობლოს საწარმოებისაკენ.

შალვა გულუა



ბიოქლონი ჯ. ბალსამიშვილი ეხმარება მებურღავ ნ. ბიტარაშვილს.

საინჟინერო თემაზე

ლისაბონის აეროპორტში მგზავრები მეტად საინტერესო მოვლენის მოწმენი გახდნენ. თვითმფრინავი ის იყო დაბრუნდა მორიგი რეისიდან და მგზავრები მხიარულად ჩამოდიოდნენ ტრაპზე, რომ ერთი მათგანი, საქმოდ ახალგაზრდა, კოპწია ქალი უეცრად ჰაერში აფრინდა და რამდენიმე წამის შემდეგ კვლავ დაეშვა მიწაზე. ეს საოცარი შემთხვევა ძალიან უბრალოდ აიხსნება. თვითმფრინავიდან მგზავრის გამოსვლის დროს, იქვე, გვერდით, ეშვებოდა მეორე, რეაქტიული თვითმფრინავი, რომლის საქმენიბიდან გამოჭრილმა ჰაერის ნაკადმა ასწია და ხუთი წამით ჰაერში გააჩერა ეს ქალი.

საქვეყნო განვითარება

ეს უჩვეულო მატჩი მოეწყო იტალიაში, გენუისა და სამპლორის განდობლისტა გუნდებს შორის. მატჩი გაიმართა... ჰაერში.

ყოველ გუნდს ჰქონდა თავისი თვითმფრინავი, რომლითაც იერიში მიჰქონდა საპერო ბუშტებზე ჩამოკიდებულ მოწინააღმდეგის კარზე. თვითმფრინავების კაბინებში მჭდომი სპორტსმენები რიგრიგობით სტყორცნიდნენ ბურთს ერთმანეთის კარში. ეს უჩვეულო მატჩი დამთავრდა ანგარიშით 4:2 სამპლორელთა სასარგებლოდ.

ერთგულება

დაღესტნის ერთ-ერთ პატარა ქალაქში დაბიროვების ოჯახი კატის შემამარწუნებელმა კნავილმა გამოაღვიძა. ოჯახის უფროსი წამოღდა და სინათლე აანთო. ბავშვის საწოლთან მან დაინახა უზარმაზარი გველი, რომლის წინ აბურძნული კატა იდგა. გაიწევა და თუ არა გველი ბავშვისაკენ, კატა კამარას შემკრავდა, თათს გაჭკრავდა ქვეწარმავალს, განზე გადააგდებდა და მაშინვე ელვის სისწრაფით უკან გადახტებოდა. ძალაგამოღებულ კატას დროზე მიუსწრო პატრონმა, რომელმაც გველი მოკლა და ბავშვი დაგესვლას გადაარჩინა.

თეთრის სურათი

ძველად აფრიკის სახელმწიფო ოიოში (ნიგერია) მმართველები მანამდე ბატონობდნენ, სანამ მათი მოქმედება ხალხს აკმაყოფილებდა. თუ მმართველი მოვალეობას უღალატებდა, მასთან ცხადდებოდა ხალხის მიერ გამოგზავნილი დელიგაცია; დელიგაციის წევრები მას თუთიყუშის კვერცხს მმართველს დასწვდნენ ხოლმე. ეს კვერცხი ოიოელთა დიპლომატიური ენაზე ნიშნავდა იმას, რომ მმართველი ვალდებული იყო თავი მოეკლა. უვარგისი მმართველი ვაჟ-კაციურად იქლავდა თავს.

ახლა ეს ჩვეულება თითქოს დავიწყებას მიეცა, მაგრამ როგორ არ გავიხსენოთ იგი ჩვენს დღეებში, როცა აფრიკის ქვეყნების უმრავლესობამ ბრძოლით მოიპოვა დამოუკიდებლობა და თავიანთ გადამთიელ ბატონებს — კოლონიზატორებს საჩუქრად „თუთიყუშის კვერცხები“ მიართვა.



ანტერპენი.

ნოღარ გურაშვიძე

თითქოს ვრჩხილიც არ სტანოდანს



ვატერლოო, ვატერლოო... რამდენი რამ წაგვიკითხავს ამ ისტორიული ადგილის შესახებ, რამდენი სამხედრო ისტორიკოსს თუ ბელეტრისტს აუწერია ვატერლოოს ბატალიები! ბრიუსელიდან სულ თხუთმეტობოდე წუთი დაგვიჭირდა ვატერლოომდე. ახლა იმ ველდების შუაგულში, სადაც ბრძოლები მიმდინარეობდა, ხელოვნური მთა აღუმართავთ. მთის ძირიდან მწვერვალამდე აგებულია ქვის კიბე. ხოლო ზევით, მწვერვალზე დგას ქანდაკება ვიქტორიისა და ლეონორისა; ამბობენ, ეს ხელოვნური მთა ქალებმა აღმართეს, მათ მიწიდან ამოღეს მიწა. ეს მთა ძველიც არის ვატერლოოში დაღუპულთა და გაფრთხილებულთა ომების საწინილების წინააღმდეგ.

ამჟვეყნად მართლაც რომ ველოდები პირად სიმბათიაზე და მოკიდებული, თორემ როგორ არ გაიკვირებ, როცა იმ მთის ძირას მოთავსებულ ვატერლოოს ბრძოლების პანორამას ნახავ! მიუხედავად დამარცხებისა, რაც ნაპოლეონს ვატერლოოში შეემთხვა, პანორამის კედელზე გამოსახულ სურათებში საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს ნაპოლეონს აქ ფრჩხილიც არ სტყუნოდეს. პირიქით, აგერ, ნაპოლეონი ამარცხებს ველინგტონის ჯარებს. აგერ, ფრანგი გრენადერები შეტევაზე გადადიან. აგერ, მხედართმთავრებს მითითებებს აძლევს თორე ცხენზე მჯდარი ხმბერატორი...

იქვეა საწინააღმდეგობა მუშეუმი. ეს არის საწინააღმდეგობა დიდი ოსტატობით გამოქვეყნებული ნატურის პარპორციული ფიგურები. მაგიაზე სამხედრო რუკაა გაშლილი და ნაპოლეონი თათბირობს თავის მარშლებთან. ფრანგი ჯარისკაცები ქობში ცეცხლს შემოსხდომიან. ქანდაკებები მეტად ძვირად არის შეფასებული. ალბათ ფასს ისიც მატებს, რომ მუნდირები ოქროთა მოსირმული და წარჩინების ნიშნებიც ოქროსია.

ბრიუსელში ხალხი უმთავრესად თხელი პალტოებით და ლაბადებით დადიოდა. ბელგიაში საერთოდ ზომიერი ჰავაა. ჩაცმის მხრივ თბილისელ კაცს ბელგიაში ვერაფერს გააკვირვებს. მე მგონია, ვერც სხვაგან. პირიქით კი შეიძლება მოხდეს. მამაკაცები უმთავრესად უჭულად დადიან. სქარბოსს ხელოვნური ქსოვილის ტანსაცმელი. შალი ძვირია, როგორც ბრიუსელში, ისე მთელს ბელგიასა და ლუქსემბურგში ჩვენი ყურადღება ბავშვების ჩაცმულობაში მიიქცია. მიუხედავად ცივი ამინდებისა, ბავშვები მოკლე შარავლებით და მოკლე წინდებით დადიოდნენ. გვეცოდებოდა მუხლებდალურჯებული ბიჭები და გოგონები. გვითხრეს ასე სჯობიაო, სპარტელების წესით ვზრდით — უფრო გამძლეები და ჯანმრთელები გამოვლენო.

აკობა-კოლა და აჯიკა

ევროპული მოტბო საქმელების მოყარების შიშით თბილისიდან აჯიკა წამოვიდეთ. რამდენიმე წლის წინ გერმანიაში ვიმოგზაურე და მეგონა ბელგიაშიც დაახლოებით იმგვარივე საქმელებით გავვიანსინძლდებოდნენ. ასევე ეგონათ რევან მარგონს და ვახტანგ ჭელიძეს. მათ მიუღწევს — ნინოს და ვალიას ტყემლიც კი წამოვიდეთ. ოტელ „ვენტრალის“ რესტორანში ვისხედით. ოფიციალტი — ახალგაზრდა ესპანელი უმაწვილი, დაბალი, კარგად შეკრული იყო, ლამაზი და მხედარული სახე ჰქონდა. მე მგონია, მის ტორეადორობა უფრო შეეფერებოდა, ვიდრე ოფიციალტობა. მაგიდასთან მოვიხმე.

- რა გქვიათ? — ვკითხე მე.
- ოფიცე, მუსიკე, — თქვა მან.
- ხოსე! — ვუთხარი მე მისი ესპანური სახელი და მას გაეღიმა.
- ხოსელიტო! — დავუმატე მოფერებით და მას თვალები გაუბრწყინდა. ამის შემდეგ ამ ოფიციალტის დიდი სიმბათია დავიმსახურე. რესტორანში შეხვალისას დიმილით შეგებებოდა და ცდილობდა თავისი ყურადღება გამოეხატა.
- სალუდ ამიგოს! — დავეუბნებდი და უმოწყალოდ ვვლანგავდი ესპანური სიტყვების მარაგს, რომელიც არც ისე უხვად მომეპოვებოდა.
- ჩვენს რაციონში ნახევარ ბოთლამდე ღვინო (მშვენიერი სასმელი ბორდო ან რინი) ან კოკა-კოლა შედიოდა.
- ხოსეს ყურადღება აჯიკამ მიიპყრო, რა არისო იკითხა. აჯიკა გავასინჯეთ. ძალიან მოეწონა. ჩვენებურს, ესპანურ ცხარე საქმას ვავსო თქვა და ბელგიელ ოფიციალტს გაასინჯა. აჯიკა მასაც მოეწონა.
- ასე რომ, კოკა-კოლას რეკლამის გვერდით რომ აჯიკის რეკლამაც იყოს, დიდი გასავალი ექნებაო! — ხუმრობდნენ რეზო და ვახტანგი.
- თუმცა უნდა ითქვას, რომ ბელგიაშიც საქმად ცხარე და გემრიელი საქმელებით გვიანსინძლდებოდნენ და აჯიკა მინცდამინც არც დაგვიჩრებია.

ბელგიაში კლასიკურ მუსიკას რომ უფრო მეტ პატივს სცემენ, რესტორნებშიც დარწმუნდებით. მაგნიტოფონები თუ ორკესტრები უკრავენ მოცარტს, ჩაიკოვსკის, რუბინშტეინს. ალბათ ეს ბელგიის დედოფლის პატივისცემაც არის; იგი კლასიკური მუსიკის მეცენატია და ხშირად აწუხებს მუსიკოს-შემსრულებელთა ტურნირებს. ჯაზი და მოდერნისტული მუსიკა უფრო მეტად დანსინგებსა და ღამის კაბარეტებში სრულდება.

ვიანდენის პატარა კაფეში ვისხედით. კაფეს პატრონი შუა ხანს გადაცილებული, ჩასუქებული ქალი იყო. ოფიციალტებად სამი ახალგაზრდა გოგონა მუშაობდა. შემდეგ ვაკვირებ, ამ ქალის შვილები უოფილან. ერთი მათგანი მულატი იყო, შავი ხუჭუკა თმა ჰქონდა, ლამაზი მოციმციმე თვალები და შოკოლადისფერი სახე. დავინტერესდით როგორ ან საიდან მოხვდა აქ ეს ქალიშვილი. ამერიკელი ჯარისკაცის ცოცხალი ძეგლია — მეორე მსოფლიო ომის შედეგად გაჩენილი, — ხუმრობით თქვა დედამისმა. გოგონებს სუვენირები ჭდავდებიან, მათ შორის თბილისისა და საქართველოს პეიზაჟები. წარმოადგინეთ ჩვენი გოგონა, როცა მათ სოლოვიოვ-სედილის „მოსკოვური საღამოები“ და ლადიის „სიმღერა თბილისში“ წაილიდნენ.

დავმშვიდობებ მასპინძლებს. გახარებული გოგონები დიდხანს გვიქნევდნენ ხელს. მერსი, მუსიკე! მერსი, მუსიკე! — გვესმოდა მათი ხმები.

„ამ თავის მოკვლა აპრპალულია“

ბრიუსელიდან ლუქსემბურგისაკენ გავემართეთ. გზებზე ხშირად გვხვდება ჯარცმა, წარწერით „ვინც მე მიწამებს, იგი იცოცხლებს სიკვდილის შემდეგაც“. საეჭვოა, რომ ბევრს სჭეროდეს ეს; მაგრამ იმის თქმა კი თამამად შეიძლება, რომ ბურჟუები, აქ, როგორც ყველგან, ათასნაირ ხერხს მიმართავენ, რათა ცხრაპირი ტყავი გააძრონ თავიანთ მოყვასს და აი ამ წარწერებით თუ ანუ გეშეზენ — მეტი რა ვინდათ. სიკვდილის შერცე ცოცხლები იქნებიან.

ლუქსემბურგის საზღვარს რომ გადავიდოდით, ჩვენმა ავტობუსმა სვლა შეაწყვეტა. ველოდით, რომ შესაზღვრე გამოვიდოდა სასაზღვრო ფორმალობის დასაცავად. მაგრამ მოვტყუვდით; მან ჯიხურის ფანჯრიდან ერთი კი გადმოგვხედა და ხელი გაქნია, — გაიარეთ, გაიარეთ, ამ სიციფეში თქვენთვის არა მცალიანო — და ამხანაგებთან კარტის თამაში განაგრძო.

ლუქსემბურგი წყნარი და ძველებური ქალაქია, აქ არ სჭირს თვალს რეკლამებისა და ნეონის ის ელვარება, რაც ბრიუსელშია. მოდერნისტული შენობებიც ცოტაა. როგორც ბელგიაში, ისე აქაც ხშირია გოთური სტილით აგებული სახლები, რომელთა კოშკის წვერები სიციფლისა და განთიადის სიმბოლოდ გალური მამალი შემომჯდარა. ლუქსემბურგიდან ოცდაათი კილომეტრით დაცილებულ ქალაქ ეშში, ლუქსემბურგ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წევრებთან ერთად, გვირგვინებით შევაკეთე იმ საბჭოთა სამხედრო ტყვეების ძეგლი, რომლებიც ლუქსემბურგის ტერიტორიაზე დაიღუპნენ გერმანელ ფაშისტთა ბატონობის წლებში. საღამოს კი იმავე ქალაქში გულთბილი შეხვედრა მოგვიწყო ლუქსემბურგ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ. სხვათა შორის, აქ შეგვხვდა ერთი სიმბათიური შეხედულების საშუალო ასაკის ქალი, რომელსაც ორიოდე წლის წინათ ჩვენს ქვეყანაში ემოგზაურა და თბილისშიაც უოფილიყო. იგი აღფრთოვანებული იყო ჩვენი ქვეყნით. თბილისში გული დავტოვეო — გვეუბნებოდა იგი.

ლუქსემბურგში ჩვენი ყურადღება მიიქცია შოფერებისა და ქვეითად მოსიარულთა სიფრთხილემ და თვითდისციპლინამ; დამს პირველ საათზედაც კი, როცა ქუჩებში ძლიერი იშვიათია მოძრაობა, არც მანქანები და არც ქვეითად მოსიარულეები არამცდარამც არ დაარღვევენ მოძრაობის წესებს, არ გაოვიან წითელ შუქზე. თუ ვინმემ წესი დაარღვია, — იციან, ეს უიქველად უცხოელი იქნება.

ლუქსემბურგში ძლიერ ბევრია კაზინო. ბევრი წაგებული, როგორც წესი, სიციფლეს კაზინოს ბაღში თვითმკვლელობით ამთავრებს. გილმა გვაჩვენა ადგილი, სადაც ორასოდექვეთ კაცს მოუკლავს თავი. ახლა იქ მიმავარებული ფორფიტა წარწერით: „აქ თავის მოკვლა აკრძალულია!“ რატომ აკრძალეს მანინცდამინც ორასოცდამეშვიდეზე და არა მეორეზე ან მეთათხუთზე, ან რა სასჯელი ელის მას, ვინც ყურადღებას არ მიაქცევს ამ წარწერას, და მანინც მოიკლავს თავს, ჩვენთვის გამოურკვეველ საიდუმლოებად დარჩა.

* გაგრძელება. იხ. ჟურნალი დროშა № 4.

(დასასრული იქნება)



უსთავის პრესპექტზე შპს ტანსაცმლის პირველ მაღაზიაში ასეთ სურათს წავაწყდით:

ასოვანმა ვაჭაყცმა თავაზიანად მიმართა გამყიდველს:

— მეგობარო, ჩემი სარგო კოსტუმში გექნებათ, ნუ დამზარდები, მომიძებნე!

გამყიდველმა ყურადღებით შეათვალიერა მყიდველი, თაროებზე დაწყოხილ უამრავ კოსტუმებს გადახედა და ისევ მომხმარებელს მიუბრუნდა:

— რა ზომის კოსტუმს იცვამთ?

— ორმოცდაათისმეტს.

— ჩვენთან ასეთი ზომა იშვიათად თუ გამოჩნდება.

— ორმოცდამეგრე ზომა მომეცით, — უთხრა მეორე მომხმარებელმა.

— მაგას კი, რა ფასისა და ფერისაც გნებავთ, მოგართმევთ, ნახეთ, ამირჩიეთ!

— აი ამ ნაჭრისა იყოს, ფასი კარგი აქვს, მაგრამ თვითონაც კარგია. საზოგადოებრივი იყო და გამოდგეს, ვიდრე რამდენიმე და ერთიმეორეზე უარესი. რაღას უყურებ, ჩამოიღე, მოვიზომავ და გამომიწერეთ.

გამყიდველი შეტრიალდა და კოსტუმებზე მიკვრებულ იარლიყებზე ზომების დათვალიერება დაიწყო.

— აპა, ესეც თქვენი ზომა.

მომხმარებელი მოსაზომ ოთახში შევიდა, კოსტუმში ჩაიცვა. ცალი სახელო მოკლე ჰქონდა. მხრები ისე ჰქონდა ჩამოფარდნილი, რომ მშვენიერი შესახედი ასალგაზრდა ჯუჯას დაემსგავსა. მყიდველმა გული მაინც არ გაიტყვია და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ეს კიდევ არაფერი. უნახოთ, შარვალი როგორ მომეგრება.

შარვალში სულ არ ჩაეტია: ისე ვიწრო მოუვიდა, თითქოს ამ კოსტუმისა არ ყოფილიყო.

გულდაწყვეტილმა მომხმარებელმა ხელი ჩაქნია და თქვა:

— აფსუს, რა მატერია გაუფუჭებიათ!

— ასეა, ჩემო ძმაო, ასე — გამოეპასუხა გამყიდველი, — ამ კოსტუმებს რომ უყურებ, ზოგიერთი ხუთი წლის წინათ მოფიტანეთ, თაროებზე გასუნდა, მტვრემა შეჭამა. თავის დროზე მომხმარებელი არ გამოუჩნდა, ასლა ვიღა ვაიღებს, ფასიონც მოძველდა, გარეგნული გამოყვანილობაც სასაბრელო არ არის.

გამოირკვა, რომ რესპუბლიკის სამკერვალო ფაბრიკების მიერ გამოშვებული საქონელი მაღაზიაში, როგორც იტყვიან ხოლმე, ბლომად არის ჩაწოლილი. ნაწილი ისეთი საქონლისა, რომელსაც მყიდველი წლების მანძილზე არ გაეკარა, საწყობში ჩაუტანიათ ჩამოსაფასებლად.

აქედან თბილისის უნივერსიტეტისა და დიდი სავაჭრო მაღაზიებისაკენ გავესწით. ყველგან ასეთი ამბავი დაგვიხვდა. მაღაზიები და სავაჭრობები სავსეა გაუსალბელი საქონლით.

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის მასალებში ხაზგასმით არის აღნიშნული რომ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ბრძოლა პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. არ შეიძლება ვერაფერად მსოფლიო რაოდენობრივი მაჩვენებლებისათვის. მთავარია ბრძოლა ხარისხისათვის, საწარმოს მარკისათვის. ეს უმთავრესად შეეხება იმ საწარმოებს, რომლებიც უშვებენ ქსოვილებს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ტრიკოტაჟს, ავეჯსა და ფართო მხმარებლის სხვა საქონელს; ცნობილია, რომ რესპუბლიკის ბაზრებსა და სავაჭრო ქსოვლში დიდი რაოდენობით არის გაუსალბიანი საქონელი, რომელსაც მოსახლეობის მოთხოვნილება არ არის.

მიუხედავად ამისა, ჯერ ისევ გვხვდება საწარმოები, რომლებიც კვლავ უშვებენ გაუსალბიან პროდუქციას, არ იცავენ ასორტიმენტის დაგეგმვებს. არის პროდუქციის ხარისხიანობის ხელოვნური აწვევის შემთხვევებიც. ამის შედეგად ეს საწარმოები დიდი რაოდენობით იღებენ რეკლამაციებს და სახელმწიფოს ხარჯზე ისღიან ჯარიმების მნიშვნელოვან თანხას.

დააკვირდით ამ ციფრებს:

„თბილფესსაცმელვაჭრობამ“ რესპუბლიკის ფესსაცმლის საწარმოებს მაღალი ხარისხიდან დაბალ ხარისხში გადაყვანის გამო ჯარიმის სახით გადაახდევინა 24.129 მანეთი. თუ ამას დაემატებთ წუნდებული საქონლის გამო სხვა რესპუბლიკებიდან და ცალკეული მაღაზიებიდან წარდგენილ პრეტენზიებს, კიდევ უფრო არასასარბელო სურათი დაგვიდგება თვალწინ.

თბილისის ფესსაცმლის საწარმოთა გაერთიანება „ისანმა“ იანუარ-თებერვალში (ანგარიში № 21 და 125) „თბილფესსაცმელვაჭრობას“ პირველი ხარისხის იარლიყით სარეალიზაციოდ გაუზავნა ქალის თბილი ყელიანი ფესსაცმელი. შემოწმების შედეგად 77 პროცენტი გადაყვანილ იქნა პირველი ხარისხიდან მესამე ხარისხში. უფრო მეტიც: ფესსაცმლის საწარმოთა გაერთიანება „ისანის“ პირველი ფილიალი იმდენად „დახელოვნდა“ წუნის კეთებაში, რომ მაღაზიებში გაგზავნილი ფესსაცმელი, როგორც მომხმარებლისათვის უვარგისი, მასვე უბრუნდება უკან. ფესსაცმლის პირველმა მაღაზიამ იანუარსა და თებერვალში სპეციალური აქტით საწარმოს უკან დაუბრუნა 169 წყვილი ბავშვის ფესსაცმელი.

ასევე უხარისხო ფესსაცმლის გამოშვებას განაგრძობს ქუთაისის ტყავფესსაცმლის კომბინატი. „თბილფესსაცმელვაჭრობამ“ (ანგარიში № 1005) მიღებული 480 წყვილი ჩუსტიდან დაბალ ხარისხში გადაყვანა 120 წყვილი, ანუ 25 პროცენტი. იმავე კომბინატიდან (ანგარიში № 1011) მიღებული 1264 წყვილი ჩუსტიდან დაბალ ხარისხში გადაყვანილ იქნა 26 პროცენტი.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ აღნიშნულ საწარმოებში პროდუქციის ხარისხისათვის ზრუნვა თავშინებებულა, კონტროლორები არაფერს არ აკეთებენ. იქ, სადაც ათასობით და მილიონობით წყვილი ფესსაცმელს ამზადებენ, ცხადია, წუნდებული პროდუქციაც იქნება, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს პროდუქცია ფაბრიკის გარეთ არ უნდა გადაიღვას.



**ჩავისვით
თუ
თქმობენ
ჩვენც
დავცემით?**

ლამაზ, მოხდენილ ნაწარმს ვერც ჩვენი ზოგიერთი სამკერვალო ფაბრიკა დაიკვირვებს. აქაც სერიოზული ხარვეზებია ტანსაცმლის კონსტრუირების, მოდელირებისა და კერვის ტექნოლოგიის თვალსაზრისით. ხშირად წარმოებას გადასცემენ ისეთ მოდელს, რომელიც გეგონებთ მითითური აპოლონის მსგავსი ადამიანებისთვის გაუთვალისწინებიათ. მაგრამ ყველას სომ ასეთი კლასიკური ფიგურა არა აქვს. თუ იმასაც დაეუფლებით, რომ ზოგი სამკერვალო ფაბრიკა ვერა და ვერ დაეუფლა კერვის ტექნოლოგიას, ცხადი გახდება, თუ რატომ ვერ მოიხვეჭა მომხმარებლის სიყვარული ამ პროდუქციამ. ამით აიხსნება ის, რომ მაღაზიები სავსეა ტანსაცმლით, მომხმარებელი კი დაქვებთ თავის სარგო, თანამედროვე მოდელის, ლამაზად შეკერილ პალტოსა და კოსტუმს.

არაგინ იფიქროს, თითქოს, ჩვენი მომხმარებელი ყველა ფაბრიკის მიერ გამოშვებულ პროდუქციას იყუნებდეს. რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა მკვეთრად გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი, მინიმუმამდე დაიყვანეს წუნით გამოშვებული ზარალი. მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია საწყობებში კი არ ფუჭდება არამედ, პირიქით, მაღაზიის თაროებზე ღამის გათვასაც ვერ ასწრებს. ასეთ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნიან თბილისის მეშვიდე სამკერვალო და პირველი სატრიკოტაჟო ფაბრიკები, თბილისის საბრთა-სატრიკოტაჟო კომბინატი.


რა გზით აღწევენ ეს ფაბრიკები წარმატებას? პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები, სამეურნეო ხელმძღვანელობა დაუცხრომლად უნერგავენ მუშებს, ოსტატებს, ინჟინრებს მშობლიური ფაბრიკის ღირსებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძობას, ავითარებენ მათ შემოქმედებითს ინიციატივას, აქტიურად უჭერენ მხარს ყოველივე ასალს, მოწინავეს. მუშათა კრებებზე ხშირად განიხილავენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების გზებს, კიცხავენ დამნაშავეებს. კვალიფიკური მუშები ხალისით უხმარებენ ნაკლებ მომზადებულ ამნააგებს, გადასცემენ მათ თავიანთ გამოცდილებას. ასეთი მუშაობის შედეგია ის, რომ აღნიშნულ საწარმოებში მინიმუმამდე შემცირდა რეკლამაციები, საჩივრები პროდუქციის ცუდი ხარისხის გამო.

ჩვენი საწარმოები შეიარაღებული არიან უახლესი ტექნიკით, ჰყავთ მაღალკვალი-ფიციური მუშები, აქვე ყველა საშუალება იმისათვის, რომ გამოუშვან ისეთი ხარისხის პროდუქცია, რომელიც საწყობებში როდი ჩაწვება, არამედ მომხმარებელი წაიღებს და იტყვის: კარგია, დაგელოცეთ მარჯვენა!

ზ. ჯაბასკივილი



დავით სარაჯიშვილი (მარჯვნივ) და არქეოლოგი ბარონ დე-ბაი.



... მოსვენებას არ ვაძლევდით ილიას, გვინდოდა, რომ „ივერისათვის“ რაიმე ახალი მოთხრობა მოეცა. ვიცოდით, რომ ჩანასახად უკვე აქვს დაწყებული მოთხრობა, რომლისათვის წინათ განზრახვა ჰქონია, მგონი „გიორგი“ ეწოდებინა სახელად, მერე კი „ოთარაანთ ქვრივი“ დაარქვა... ახლად შობის მონათვლა უნდოდა. განუყრელი, უცვლელი ნათლია ილიას ნაწარმოებებისა დავით სარაჯიშვილი იყო; იმდენად გულუბრი, პატივისმცემელი ნათლია, რომ ნათლობასაც თვითონვე იხდიდა თავის სტუმართომოყვარე სახლში. ასე იყო მონათლული „განდევნილი“ და ამ წესრიგს არც ახლა გადაუდგა სარაჯიშვილი.

საღამოს რვა საათი იქნებოდა, სარაჯიშვილის ფართო, მდიდრულად მოწყობილ სახლში, სოლოლაკში, დიდალ ქართულობას მოეყარა თავი. აქ იყვნენ „ივერიის“ ყველა თანამშრომელი, ქართველი მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი. მათ შორის იყვნენ: მოხუცი პოეტი რაფიელ ერისთავი, ნ. ნიკოლაძე, ივ. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი, გრ. ვოლსკი, — საუცხოო მცოდნე ქართული ენისა, პოეტი და საზოგადო მოღვაწე — და კიდევ ბევრნი სხვანი.

ილიამ წაიკითხა თავისი მოთხრობა. ამასობაში კარგა ხანსა გაიარა. შუაღამე გადასული იყო, პურადა მასპინძელმა, დავით სარაჯიშვილმა, ყველანი ვახშმად მიგვიწვია. შევედით დიდ სასაბლილო ოთახში, სადაც დიდებული სუფრა იყო გაშლილი. ვახშამმა მსიარულად ჩაიარა. მეტადრე ლაზათი დასდო სუფრას თამბაქმ, მოხუცმა რაფიელ ერისთავმა.

ეს ამონაწერი ჩვენ იაკობ მანსვეტაშვილის მოგონებებიდან მოვიყვანეთ. შემთხვევითი როდია, რომ დიდი ილია ასე აფასებდა, ასე სიყვარულით ეყვრობოდა და-

ვით სარაჯიშვილსა და მის ოჯახს. ეს იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქართული კულტურის აღორძინებისათვის მზრუნველი და მისთვის გულშემოტივარი ადამიანი. განათლებით ის ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი იყო და მის სახელთან არის დაკავშირებული სახელგანთქმული ქართული კონიაკის წარმოება.

დავით სარაჯიშვილი თბილისში დაიბადა და აღიზარდა, ის ჯერ პაკეს პანსიონში სწავლობდა და შემდეგ დაამთავრა თბილისის გიმნაზია. 1866 წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, ერთი წლის შემდეგ გაემგზავრა გერმანიაში და მიუნხენის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა. მიუნხენიდან გადავიდა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში და 1871 წელს იქ მიიღო დოქტორის სახელწოდება. 1878-1879 წლებში სარაჯიშვილი საფრანგეთში მიემგზავრება და სწავლობს მევენახეობის საქმეს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1888 წელს თბილისში აარსებს კონიაკის ქარხანას. ასე იწყება ისტორია ქართული კონიაკისა, რომელმაც მთელი მომდევნო წლების მანძილზე სახელი გაითქვა მთელ მსოფლიოში. იგი ყველგან სუფრის ემზია, მისი მშვენიერება.

სარაჯიშვილი იყო თავისი საქმის უდიდესი ენთუზიასტი, მაგრამ იმ წლებში მაინც შეუძლებელი იყო კონიაკის წარმოებას მისცემოდა ისეთი ფართო მასშტაბი, როგორც მან ჩვენს დროში მიიღო. გაიზარდა ქარხანა, გაფართოვდა მისი ნედლეულის ბაზა. ამჟამად ავჭალოს შარვაჯაზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, დგას ოთხსართულიანი ახალი ლამაზი შენობა, კონიაკის ქარხანა, რომელიც ფიჭვისა და ნაძვის ხეივანებშია ჩაფლული.

ჩვენ ვესტუმრეთ ამ ქარხანას, გავეცანით სპეციალისტებს, რომლებიც დაულაღვად იღვნიან, რათა ქართულმა კონიაკმა უფრო შორს გაითქვას სახელი. ამ ენთუზიასტთა შორის არიან ქარხნის მთავარი ტექნოლოგი ვ. ჭიჭიშვილი, სამტრედიის მთავარი ტექნოლოგი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვახტანგ ციციშვილი — ავტორი კონიაკ „ენისელისა“, რომელსაც ოთხი მედალი აქვს მიღებული საერთაშორისო დეგუსტაციებზე. საერთოდ კი ქართულ კონიაკებს მიღებული აქვთ თორმეტი მედალი, აქედან ნახევარი — ოქროსი.

ვახტანგ ციციშვილმა არა მარტო ახალი მარკის კონიაკი შექმნა, არამედ აღზარდა სპეციალისტები, რომლებიც წარმატებით უძღვებიან ქართული კონიაკის წარმოების საქმეს.

1963 წელს თბილისის კონიაკის ქარხანამ გამოუშვა ოთხას ოცი ათასი დეკალიტრი სამარკო კონიაკი — „ვარციხე“, „გრემი“, „ძალზე ძველი“, „ენისელი“, „თბილისი“ და სხვები, რომლებიც დღეს არა მარტო ქართულ სუფრას, არამედ შორეულ ქვეყნების სუფრებსაც ამშვენებენ.

ქართული კონიაკის ქარხანა, რომელიც აშენდა დავით სარაჯიშვილის კონიაკის ქარხნის ბაზაზე, უფრო გაფართოვდა. ახალი ქარხნის თვითული საამქრო უფრო დიდი თავისი მოცულობით და ტექნოლოგიით, ვიდრე სარაჯიშვილის კონიაკის მთელი ქარხანა იყო.

ქართული კონიაკის სპეციალისტები და რეგიტი მუშები წარმატებით უძღვებიან თავიანთ საქმეს. სწორედ ამიტომ იყო, რომ თბილისის კონიაკის ქარხნის კოლექტივს კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო სახელი მიენიჭა.

ალ. ჭირსინაშვილი



შეიქმნა
ქ ი ბ ი ს
მ ჯ ა ჯ ე

ბენიკ სეირანიანის მოთხრობას „რუსულ გულს“ სამაშულო ომის ქარიშხლიან დღეებში გადავყვართ. პატარა რუსი ბიჭუნა, რომლის მშობლებს ოჯახი შემოსეულმა მტერმა აუწიოკა, სომხეთის მიწა-წყალზე მოხვდება. იქ, ქარხნის დირექტორის ოჯახი მეორე მშობლიურ კერად იქცევა ბავშვისათვის. ახალ მშობლებს ისე შეუყვარდებთ ბიჭუნა, რომ როცა ომი დამთავრდება და ბავშვს მშობლები გამოუჩნდებიან, მათ ძალზე გაუძნელებათ ნაშთლებზე ხელის აღება. არჩევანი ვეღარც თვითონ ბავშვს და, საბოლოო ანგარიშში, ვეღარც ავტორს მოუხდენია. ყოყმანობს ნაწარმოების გამირი, ყოყმანობს ავტორიც და ისე იხურება ამ მოთხრობის უკანასკნელი გვერდი, რომ ბიჭის ბედი გადაუჭრელი რჩება.

სეირანიანის ეს მოთხრობა, ისე, როგორც საერთოდ მთელი შემოქმედება, გამსჭვალულია ხალხთა მეგობრობის უწმინდესი გრძნობით.

ბენიკ სეირანიანს ახლახან დაბადების ორმოცდათი წლისთავი შე-

უსრულდა. ბავშვობის წლები მან სომხეთში გაატარა, შემდეგ სწავლობდა თბილისში და აშუამად აქ განაგრძო საყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას.

ბენიკ სეირანიანის პირველი მოთხრობა „კლდის ნაპრალი“ 1938 წელს გამოქვეყნდა. აქ უკვე ნათლად გამოჩნდა ახალგაზრდა მწერლის სიტყვის ძალა, მისი ერთგულება მრავალსაუკუნოვანი სომხური პროზის ტრადიციებისადმი.

ბენიკ სეირანიანმა განსაკუთრებით სახელი მოიხვეჭა სომხურ ლიტერატურაში, როგორც ნოველის ოსტატი. დახვეწილი ენით, სომეხი ხალხის მდიდარი ფოლკლორის ცოდნით, სწორი იდეური ალღოთი მწერალი თავის ნოველებში ხატავს საბჭოთა ადამიანების მდიდარ სულიერ სამყაროს.

მწერალი მუდამ ძიებაშია, ცდილობს მონახოს ყველაზე უფრო დაბტევი, ზუსტი ფერები და სახეები სინამდვილის გადმოსაცემად.

ძველისა და ახლის ბრძოლის თემას ბ. სეირანიანის შემოქმედებაში

საპატიო ადგილი უჭირავს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოთხრობა „მართალი ხელი“.

საბჭოთა ადამიანების მაღალი მორალური თვისებებია დახატული ბ. სეირანიანის მოთხრობებში და ნოველებში — „ტრაქტორისტები“, „ავაგებულები ძველი“, „ნადევრდალი ჩაფლული ცეცხლი“, „მილიონერის ქალიშვილი“, „დაბრუნებული ბავშვობა“, „აუვაგებულები ტალღები“, „აღიარება“, „მოქანდაკე“, „უკანასკნელი აუდენცია“ და სხვ.

1959 წელს ბ. სეირანიანმა გამოცა თავისი პირველი რომანის „ვარსკვლავების ხეობის“ პირველი წიგნი. მწერალს ჩაფიქრებული აქვს ერთი ოჯახის სამი თაობის ცხოვრების ასახვა. — მხატვრული სიტყვით იმის დახატვა თუ წარსულში მიწასთან გასწორებული ადამიანების შთამომავლებმა როგორ დაიპყრეს სულიერი და მორალური სიწმინდის მაღალი მწვერვალები...

არჩილ ღვინიაძე



მართული კონიაკის დეგუსტაცია.


მარცხნიდან მარჯვნივ: ავთანდილ ჟღენტი, ვახტანგ ინაშვილი, დავით ნიკოლაიშვილი (ტექნოლოგები), ვახტანგ ციციშვილი (სამტრესტის კონიაკის წარმოების მთავარი ტექნოლოგი), ვლადიმერ ჭანიშვილი (ქარხნის მთავარი ტექნოლოგი).

ფოტო მ. თურქიანი და ე. პასოვისა

სამუცხაობის მუშა
ჩქ



ქართული
ბილდოვნება




კინოსახიობი ლია ელიაშვილი




თეთრი ბალი.

ხელოვნების დამსახურებული
მოღვაწე ა. ი. რუბინი.





ქიმიის ლაბორატორიაში.



ავტორტრეტი.



შემადგომა.

დ. დავითიძე



ეროვნული
ბიბლიოთეკა



დგრავდა, რაც რედაქტორ-გამომცემელს განსაკუთრებულ მოვალეობას და პასუხისმგებლობას აკისრებდა. თავის წერილში—„ქართული მწიგნობრობა“, რომელიც 1888 წელს დაიბეჭდა უფროსად „ივერიაში“, იგი წერდა: „სჯობს ცოტა დაიბეჭდოს წიგნი, თუნდა პატარა ბროშურებიც იყოს, ოღონდ კი შინაგანად ღირსება მქონდეს. რიცხვის სიმრავლეს სიკეთის სიმრავლე სჯობს. უკეთესი იქნება ერთი წიგნი მომზადდეს კარგად, დიდხანს, ვიდრე ორმოცი და ხელდახველ მომზადებული და უფარგისი“.

ეს არ იყო ლიტონი ფრაზა, ნათქვამი მხოლოდ სხვების მისამართით. გამოსაცემი ტექსტების დასაბეჭდად მომზადებაში პ. უმიკაშვილი თვითონ ირინდა სამაგალითო კეთილსინდისიერებას და გულმოდგინებას. იგი ძალ-ღონეს არ ზოგავდა, რომ მითხველისათვის რიგაინად გამოცემული წიგნი მიეწოდებინა. გამომცემელი წიგნების უმრავლესობას საკუთარ წინასიტყვაობებს, ხოლო საქირთუბის შემთხვევაში კომენტარებს და ლექსიკონებს ურთავდა. პ. უმიკაშვილი ვ. გოგიჩაიშვილის სავსებით მართალი იყო, როცა პ. უმიკაშვილის შესახებ წერდა, რომ „სხვების ნაწერებს მეტის ყურადღებით ეყიდივოდა, ვიდრე თავის საკუთარს“. პ. უმიკაშვილი ამას თვითონაც აღნიშნავდა. 1894 წელს იგი საყვედურით მიმართავდა იაკობ გოგებაშვილს: „თუ ჩემ საკუთარ წერაზე ისე არ მიბეჭდებოდა, როგორც სხვების ნაწერების გამოცემაზე, ვგონებ არავის ნება არ მქონდეს მსჯიდეს, შენი, თავი რად დაიფიქრე და სხვებს გამოუდევრო“.

ცხადია, ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებს კარგად ესმოდათ ჩვენი ძველი საერო ლიტერატურის ძველების ბეჭდური გამოცემის უდიდესი მნიშვნელობა და პ. უმიკაშვილის დამსახურება ამ საქმეში. 1888 წელს ვახუშტი „ივერიაში“ ამის შესახებ წერდა: „მადლობის მეტი არა ეთქმის რა იმისთანა კაცს (პეტრე უმიკაშვილს—ზ. მ.), რომელიც ასე უანგაროდ მოღვაწეობს ძველის მწერლობის გამოსარკვევად, მბეჭდავს სხვადასხვა ძველ ლიტერატურულ ქმნილებათა და ამგვარად თავის წიგნით უადვილებს მომავალს მოღვაწეთ სარგებლობას ისტორიის შესწავლასა და გამოკვლევას“.

პ. უმიკაშვილის, როგორც ქართული წიგნების რედაქტორ-გამომცემლის შრომას ასევე მალე შეფასებას აძლევდა მოწინავე უბოლცისტი და კრტიკოსი ნიკო ნიკოლაძე, რომელიც ჭარ კიდევ 1878 წელს წერდა: „ეს ჩვენი ახალგაზრდა „ბიბლიოგრაფი“ (პ. უმიკაშვილი—ზ. მ.) დიდი ხანია, რაც ნელ-ნელა, აუჩქარებლად და თან მოუსვენრად, სხირებს ძველებურ ხელნაწერებს, აგრავებს სახალხო ლექსებსა და ანდაზებს, ჰკრებს ძველ წიგნებს და გამოცემებს, და ზოგჯერ კიდევ ბეჭდავს შესანიშნავ თხზულებებს. მისი მხრით ეს მთ უფრო მოსაწონი და საკები საქმეა, რომ ამნაირ შრომას მეტის-მეტე თავდავიწყება სჭირა: მშრომელი თავისი ღვაწლის ნაყოფს ვერ ესწრება და ვერც ხედავს, და თვითონ ეს ღვაწლიც, წყაროში სიმძიმეებით დატვირთული, მკითხველ საზოგადოებას უბრალო, ადვილ რამედ მიჩნია. მშრომლის

პიროვნება, ნიჭი და ჯაფა არც კი სჩანს ამ უმაღლეს ახარეზე, რომელიც ხანდისიან მოქმედისაგან ნამდვილ თავდავიწყებას თხოულობს. ვიმეორებთ პ. უმიკაშვილი გულითადი მადლობის ღირსია ჩვენი მწერლობის და მკითხველი საზოგადოების მხრით“.

პ. უმიკაშვილი დაუტბრობლად ზრუნავდა საგამომცემლო საქმის წინსვლისა და გაფართოებისათვის. იგი ყოველმხრივ ცდილობდა, რომ ქართული წიგნების გამოცემა, გარდა თბილისისა, გამოეცოცხლებინა აგრეთვე ქუთაისში, სადაც იმ დროს არა ერთი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ცხოვრობდა. მას კარგად ესმოდა, რომ ქართული წიგნების გამოცემა ახალ სტიმულს მისცემდა ქართული კულტურის წინსვლას და კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენდა მხატვრული ლიტერატურის განვითარებაზე.

პ. უმიკაშვილის ერთ-ერთ დიდ საზრუნავს შეადგენდა ქართული წიგნების გავრცელება. იგი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ ხალხში ფართოდ მოეფინა ქართული წიგნები და ამით ხელი შეეწყოს სწავლა-განათლების გავრცელებასათვის. გარდა იმისა, რომ ზაფხულობით მოგზაურობის დროს თვითონ მიჰქონდა წიგნები სოფლებში, მას ადგილობრივ გაჩენილი ჰყავდა აგენტები, რომლებიც მისგან გაგზავნილ წიგნებსა და ურუნალ-გაზეთებს ავრცელებდნენ. ამ საქმისთან დაკავშირებით დროგამოშვებით წერილებს აქვეყნებდა „დროებას“ და „ივერიაში“, სადაც დაბეჭთებით მოითხოვდა, რომ წიგნების გავრცელება მთელი საზოგადოების ზრუნვის საგანი გამხდარიყო. მაგალითად, 1872 წლის „დროებაში“ წერდა: „ჩვენში არასდროს არ გავრცელებდა და არ მოიფინებდა ხალხში ქართული წიგნები, თუ ისე იმგვარად მოვიქცევით, როგორც აქამდინ მოვიქცეულვართ და ან დუქნებში და მაღაზიებში ეწყობა, ან ორიოდ კაცს ებარება, სანამდინ ყველანა არ ვიკისრებთ წიგნების გაყიდვის და გავრცელების საქმესა და ერთმანეთს არ შევაგულიანებთ, მანამდის ესე ცოტა წიგნებით დავრჩებით“.

მეორე წერილში, რომელიც 1889 წელს დაიბეჭდა „ივერიაში“, იგი რჩევას იძლეოდა, რომ წიგნების გასავრცელებლად უნაირად ყოფილიყო გამოყენებული ტრადიციული დღესასწაულები და ბაზრობები, სადაც დიდძალი ხალხი აკრიბებოდა და ბევრ მათგანს ექნებოდა ქართული წიგნების შეძენის სურვილი.

მადლიერი ქართველი ხალხი მუდამ პატივისცემით გაიხსენებს დაუღალავი საზოგადო მოღვაწის, ქართული წიგნის უანგარო მოამაგის—პეტრე უმიკაშვილის სახელს.

ზ. მუხაშვილი



მადლაზე ბზინავს სირმის წმინდა, ობობას ქილისმავარი ძაფები. ზოგი დარგებლია, ზოგი დაწული; ლამაზზე საფანტივითაა მიმოყრილი წმინდა ვერცხლის მარცვლები. აქვეა ჯერ მოურთავი ვერცხლის სურა, ბაღია და სათუთუნე. მაგიდას მხაჯდომია მოხუცი, ხელთ უპყრია ვერცხლის ფიალა და გარშემო სათუთად აყოლებს წმინდა ძაფებსა და მარცვლებს, რათავს გრეხილებით. მოხუცმა შეათვლით თავისი ნახვლაგი და ასლა სხვადასხვა ხახვებით დაქსელა იგი. არ დააკმაყოფილა ნამუშევარმა. მას უნდა კიდევ უფრო ამტკიცებდეს ფიალაზე ლამაზი ქართული ჩუქურთმა. ისევ საჭრეთლით მოხაზა ერთი ადგილი და სევადით ამოავსო. დიდხანს ათვალიერა მოხუცმა ფიალა, და როგორც იქნა, ბაგეზე დომილმა გადაიარა: ეს იმას ნიშნავს, ოსტატი ფილუ კმაყოფილია.

ჩვენი სამშობლო ძველთაგანვე განთქმული იყო ლი-

თონის მხატვრული დამუშავების ხელოვნებით. ამ ტექნიკის მრავალი სახეობა არსებობდა: ჭედურობა, სევადა, გრეხილური, ზარნიში, ახალციხის ფილიგრანი და სხვა მრავალი. შესრულების პრინციპი საუკუნეთა განმავლობაში თითქმის ერთი იყო, იცვლებოდა მხოლოდ შესრულების მანერა, სტილი, ოსტატობის მხატვრული და ტექნიკური დონე.

გრეხილისა და სევადის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატი გახლდათ ფილუ ძაძამიძე. მისი წინაპრები სახელგანთქმული ოქრომჭედლები იყვნენ. ფილუს ბაბუა ვახუ ძაძამიძე, მეცხრამეტე საუკუნის განთქმულ ოსტატებთან — პეპუ მუწარგიასა და ასლამბი კვიციანთან ერთად, სამეგრელოს მთავრის დადიანის სასახლეში სწავლობდა ლითონის მხატვრულად დამუშავებას.

შვიდი ძმანი იყვნენ ძაძამიძეები. ფილუს უფროს ძმას კონსტანტინეს ვახუშტის შეასწავლა ოქრომჭედლობა. კონსტანტინემ კი თავის უმცროს ძმას — ფილუს. თხომეტი წლის ფილუ უკვე თავისი საქმის შესანიშნავი ოსტატია. მან სულ მალე აითვისა ლითონის რთული ტექნიკა. თხომეტი წლის ფილუს უკვე სევადისა და გრეხილის ტექნიკით შესრულებული ქამარ-ხანჯლები, სათუთუნეები, უნაგირის მოწყობილობები, ყანწები, ფიალები აქვს.

თბილისში ამ დროს მუშაობდნენ სევადისა და გრეხილის სახელგანთქმული ოსტატები, ძმები ამბროსი და თომა ჯიქიები, რომელთა სტილი და ნახატი საკმაოდ განსხვავდებოდა ფილუ ძაძამიძის შემოქმედებისაგან.

ფილუ ძაძამიძეს საკუთარი სახელისნო არ ჰქონია; კარგა ხანს ძმასთან იყო შეკედლებული. 1917 წლიდან ფილუ დამოუკიდებლად მუშაობდა.

ოდითანვე ცნობილია ქართული-ჩუქურთმა თავისი მრავალფეროვანი და ლამაზი სახეებით. ფილუ ძაძამიძეს უფრო მეტად მცენარეული ჩუქურთმის მოტივები იტაცებდა. მის ნამუშევრებში ჩანს მდიდარი ფანტაზია და ქართული ჩუქურთმის კარგი ცოდნა. მისი ჩუქურთმა მკაფიოა, სადა, ადვილად იკითხება, კომპოზიცია ლაკონურია და დახვეწილი. მისი გრეხილი ობობას ქსელოვით ნაზია და მნახველს აოცებს მხატვრული და ტექნიკური სრულყოფით. 1937 წელს საქართველოში ხალხური შემოქმედების კაბინეტი ჩამოყალიბდა. ეს კაბინეტი დაინტერესდა ძაძამიძის ნამუშევრებით და, როცა საქართველოში პირველი ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური გამოფენა მოეწყო, ფი-

მსხუშრა ჭაქა

ლუ ძაძამიძის მიერ მოქმდილმა ქამარ-ხანჯლებმა, ქართულმა სამკაულებმა, საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურეს. 1941 წელს საქართველოს რესპუბლიკურ ხალხურ შემოქმედების გამოფენაზე კვლავ ექსპონირებული იყო მისი სათუთუნე. ფილუ ძაძამიძე 1941 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა. 1949 წელს VI რესპუბლიკური ოლიმპიადის გამოფენაზე იგი საბატო სივლით დააჯილდოეს.

იმ ხანებში ფილუ ღრმად მოხუცი იყო. ჯანატეხილი ოსტატი ისევ იჯდა თავის განუყრელ მაგიდასთან. მუშაობდა, დღე, მუშაობდა ღამე. მუშაობდა მანამ, ვიდრე გული უტემდა. ახლა ფილუს სკამი ცარიელია. მაგიდაზე ისევ ბზინავს ვერცხლის — სირმის წმინდა ძაფები, ზოგი დაწული, ზოგი ბრტყელი. ლამაზზე საფანტივითაა მიმოყრილი წმინდა ვერცხლის მარცვლები. აქვე დგას სურა ჯერ მოურთავი, და ასე გგონია, ახლა შემოვა სახელისნოში ოსტატი ფილუ, მაგიდას მიუჯდება და ძველებურად მორთავს დაუმთავრებელ სურას.

ირინე უზნაძე



ბაქოლაჟა

წუხელ საათებს ეძინათ ერთად,
 მხოლოდ გულები ფხიზლობდნენ ცალკე.
 წუხელ მფრინავის ცოლი და ღებდა
 თვალს არიდებდნენ მოწყენილ სარკმელს;
 წუხელ ცა უფრო დაბალი ჩანდა,
 უძილო ღამე ჰქონდათ მფრინავებს...
 ღდეს კი გაიხსნა დრუბლების ფარდა,
 სახურავები მზეზე ბრწყინავენ;
 მგზავრები აღარ იგვიანებენ,
 კარგი ამინდი ყველას ამართლებს
 და ხარისხო თვითმფრინავები
 უბრუნდებიან მზიან ქალაქებს.


ბაზაუსული

ეს გაზაფხულიც მოვიდა ისე,
 როგორც მოსულა დიდხნის წინათ,
 სარკმელთან დგას და ბავშვივით მისმენს
 გაკვირებული ფერადი წვიმა.
 მე კი დილიდან დავიქებ სიტყვას,
 რომელიც არის არ უთქვამს შენთვის
 და რომ იპოვნოს ვინმე და გითხრას,
 ჩემსავით მაინც ვერაფერს გეტყვის.
 მე მინდა მივწვდე მიწების მიწებს,
 რომელსაც წვიმის ხმაურში სძინავს,
 სარკმელთან დგას და შენსავით მისმენს
 გაკვირებული ფერადი წვიმა,
 სხვებს ასველებს და
 სველდება თვითონ,
 სახლებში ხარბი თვალისით შერბის...
 მე კი დღისითაც იმაზე ვფიქრობ,
 რაზედაც ღამით ფიქრობენ სხვები.

სიყვარული

ხუმა ბაბუა

მე მასსხს: როგორც ბრწყინვალე აზრი,
 ძლიერ მიგნებული დიდი წვალუბრით,
 ჩემი ოცნებით ნაგები ტაძრის
 კარებთან გაჩნდა ის მოკრძალებით.
 და მიზნავებდა სინაზით თვალებს
 ის გამოხედვა, საესე მუდარით.
 და ჩაფრენილი ლოყაზე ხალი —
 ჩემი განცხრომით — როგორც ფუტკარი.
 ჩვენ მიყვებოდით მზიან ქვაფენილს
 და მიმზიდველი გარემო ჰგავდა
 სიზმარში ხილულს, და ყველაფერი
 იყო ნამდვილი, იმ ტაძრის გარდა.
 და ვგრძობდით, როგორ გვითრთოდა სული
 სურვილით, როგორც მინდვრის სურნელით...
 ის ბრმად მოსდევდა ჩემს ხმას და სურვილს,
 მთლად გულბრწყინი და უზრუნველი.
 ჩემს ხმას მოსდევდა უხმოდ და ნდობით,
 ვით გულის კარნახს — უხმოდ და ნდობით.
 ჩემი უსაზღვრო სურვილით შობილს
 სჯეროდა ჩემი მზერის და გრძობის.
 და იყო დიდი სიწყინარე ქვეყნად
 და ღუმდა ისიც, მაგრამ იცოდა,
 მაგრამ სვდებოდა — რა ძალას ეპყრა
 ამ წუთისოფლის მარადისობა.



სეთი სახელი შეიძლება მიაკუთვნოს კაცმა
 რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კეთილმო-
 წყობისა და გამწვანების სამშრომლო აქ ფოლადს
 არ აღნიშნენ, აქ გაზაფხულის სიმწვანე შემოჰყავთ და
 ამკვიდრებენ ქალაქში.
 კეთილმოწყობისა და გამწვანების სამშრომლო უფრო-
 სის პატარა, ნათელი კაბინეტი, კოსტა, ნაცრისფერი
 შენობის მეორე სართულზეა. კაბინეტში შესულს უმაღ-
 ლედი ვეცმა ესკიზებისა და ნახაზების კარადა. კმდ-
 ლებზე კი გაკრულია სხვადასხვა ფერის ლაქებითა და
 შტრიხებით აჭრელებული სქემები, რომლებსაც საქმე-
 ში ჩაუხედავ კაცს, რა თქმა უნდა, არაფერი გაეგება.
 — რას იტყვი, გალამაზდა აქაურობა? — მკი-
 თხა დავით ლოლაძემ და თავით ფანჯარაზე მანიშნა.
 მე მას ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში ვიცნობდი. შავი
 ჯიუტი ქორთი და მხიარული თვალები ჰქონდა. ახლა
 თმა შესთხვლებოდა და შევერცხლოდა, თვალები კი
 ძველებურად მხნედ და ტაბუკურად გამოიყურებოდნენ.
 მან ძლივს შესამჩნევლად გაიღიმა.
 — ბევრია თუ ცოტა ორმოცდაათი წელი? — მე-
 კითხება დავითი, — ამბობენ, ცხოვრებაში თავისი კვა-
 ლი რომ დატოვოს, ადამიანმა ერთი ხე მაინც უნდა დარ-
 გოსო. ორმოცდაათი წლის მანძილზე მე ისინი ათეულ
 ათასობით გავახარე. მაგრამ ესეც ცოტაა... მე ხარბი
 კაცი ვარ და მინდა კიდევ უფრო მეტი დავერგო, დავ-
 რგო მთელი ტყეები... ახლა კი წავადეთ. მარტენის
 სამშრომლო უკან ბაღსა და ყვავილნარს ვაშენებთ.
 — იცანი აქაურობა? — მკითხა დავითმა, როცა
 ქარხნის ეზოში გამოვედი. კორპუსები მწვანეში იყ-
 ვნენ ჩაფლული. როგორ დამაფრთხილებოდა ეს ადგილი,
 მაგრამ ძნელი იყო იმის დაჯერება, რომ ქარხნის ეს
 ძველი სანაგვე სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში
 ხილის მწვენიერ ბაღად გადაიქცეოდა.
 დავითი მშვიდად და ძუნწად მიამბობდა მომავალ
 გეგმებზე, მიღწეულ გამარჯვებაზე, ირონიითა და იუ-
 მორით მიხატავდა თავის წარუმატებლობებსა და მათ-
 გან გამოწვეულ გულისტკივილს.
 შევეკრებდი მას და ვცდილობდი წარმომეგონა, თუ
 როგორ უნდა ვგრძობდი თავი კაცს, როცა ხორცს ისხამს
 მისი ოცნება, მისი ყველაზე სანუკვარი სურვილი... აი,
 მიყვებით ქალაქის მთავარი ქუჩის უსაზღვროდ გრძელ
 სკვერს, რომლის დენდროლოგიური პროექტის ავტორი
 და მშენებლობის ხელმძღვანელი დავით ლოლაძე იყო.
 ჩაუხედავით მშენებელთა ქუჩაზე და მწვანე ბაღნარები
 მხიარული შრილით შემოგვეგებნენ, გავიარეთ კულ-
 ტურის სახლის გვერდით და მის პირდაპირ სალიჩასა-
 ვით მოხატული თვალწარმტაცი პარკი დავინახეთ. და
 განა მარტო პარკი? ხეივანები და გაზონები ქარხნის
 შიგნით და მის ირგვლივ?... ყველაფერი ეს შექმნილია
 პროექტებით ამ ინჟინერ-მეტყველის, რომლის დახვე-
 წილმა გემოვნებამ და მხატვრის ფანტაზიამ არ შეიძ-
 ლება განცდიერებაში არ მოგიყვანოთ, ვინაიდან მხო-
 ლოდ მაშინ, როცა გიყვარს ადამიანები, შეგიძლია
 გადაიქცევი ჭეშმარიტ მხატვრად, პოეტად, არტისტად,
 და უყოყმანოდ შესწირო მთელი შენი ფიქრები და
 ძალღონე მიწის გამწვანებება-გალამაზებას. და რაც

დავით ლოლაძე თავის მწვანე მეგობრებთან.

სამშრომლო

„ბაზაუსული“

ი. ლისინსკი

უფრო მეტად სჭირდებათ ეს შრომა ადამიანებს, მით
 უფრო უჭკნობი ხდება გაზაფხულის ყვავილობა ასეთი
 ადამიანის სულში.
 ჩემთვის გასაგები გახდა დავით ლოლაძის მღელვარე-
 რება. ამ ხრიკების აყვავებასა და გაცოცხლებაში ხომ
 მასაც უდიდესი წვლილი მიუძღვის. უნებურად გასსენ-
 დებათ ტყეებზე შეყვარებული ასტროვის სიტყვები ჩე-
 ხოვის პიესიდან „ძია ვანო“:
 — როცა ჩემი ხელებით დარგული ახალგაზრდა
 ტყის შრიალი მესმის, ვგრძობ, რომ თუ წლების
 შემდეგ ადამიანი ბედნიერი გახდება, ამაში მეც ცოტა
 დამნაშავე ვიქნები...
 ვინ იცის ქალაქის გამწვანების რამდენ ენთუზიასტს
 არ შეხვდებით რუსთავში: აგრონომ ბრეგვაძეს, საქარ-
 ხნო სანერგისა და ორანჟერიის გამგეს გვარამაძეს, ქა-
 ლაქის კომუნალური მეურნეობის კანტორის კეთილ-
 მოწყობის განყოფილების უფროსს ა. ჩინრაძეს, ამ
 კანტორის მთავარ ინჟინერს შ. პაპაშვილს, ინჟინერ-
 მეტყველს ნ. ჭყონიასა და მრავალ სხვას. მაგრამ განა
 ეს ადამიანები მარტოდმარტო შეძლებდნენ ასეთი სი-
 ლამაზის, ასეთი ვეება მწვანე მასივების შექმნას, მათ
 რომ მხარში არ ედგას ერთგულ და უანგარო თანამემ-
 წეთა მრავალათასიანი არმია? ვინ იცის რამდენი „შა-
 ბათობა“ და „აგირეული“ იქნა ჩატარებული ტყის
 მეგობრების მიერ! ახლა ძნელია რუსთავში ისეთი ადა-
 მიანის პოვნა, რომელსაც ამ საქმეში რამდენჯერმე
 მაინც არ მიეღოს მონაწილეობა! მარტო ქარხნის
 ირგვლივ დარგული იქნა 200 ათასი ხე და ბუჩქი, აქე-
 დან ათი ათასამდე ხეხილი.
 მაგრამ ჩვენს მწვანე მეგობრებს არაკეთილმოსურნე-
 ნიც ჰყავთ რუსთავში. ისენი არიან უსულგულო ადა-
 მიანები, ბრაკონიერები და ტყის მჩეხავები.
 წაჭრება მოქალაქე ტ. მენთეშაშვილი რაღაცაზე
 მეზობელს და გამოორტებულმა მისი ფანჯრების წინ მოშ-
 რიალემ სამი მრავალწლიანი ხე ძირიანად ამოგადო.
 დასჭირდა მოქალაქე ნ. სალიჩაშვილს რაღაცასათვის
 ბოძი, არც აცია, არც აცხელა და ვეებურთოდა ეჭვ-
 წლიანი ჭადარი წამოაქცია ქუჩაში. ასევე მოიქცნენ
 ა. ტატიშვილი, ი. ჟურავლიოვი, გ. მეტრეველი, ვ. ბაბა-
 კოვა, შ. ყურაშვილი და სხვები.
 ყველა მათგანს შეუდგინეს აქტები, დააჯარიმეს
 კიდევ რაღაც სამი-ოთხი მანეთით. ეს არის და ეს.
 მაგრამ განა უკეთესი არ იქნებოდა, ასეთი ადამიანები
 ჯარიმის გადახდის გარდა, ვაიპულთო ერთი მოჭრილი
 ხის ნაცვლად დარგონ და გაასარონ ორი-სამი ხე?
 საერთოდ, ამ საქმეს უნდა მიხედონ კომკავშირელებმა
 და ახალგაზრდებმა, მრავალი სახელოვანი საქმის წა-
 მოწყობებმა. კარგი იქნებოდა, თუ თვითული სამშ-
 რომლო ახალგაზრდა მუშებზე გაპროგრამებული იქნება
 გარკვეული ნაკვეთები, სადაც ისინი პასუხს აგებენ
 თვითული ხისათვის.
 — წავალ კომკავშირის კომიტეტში, პარტკომში, —
 გადაჭრით თქვა ლოლაძემ, — თავი უნდა მოგუბათ
 ამ საქმეს!
 ...განა შეუძლია ასეთ ადამიანს, რომელსაც ასე
 ღრმად და პოეტურად უყვარს თავისი მშენიერი საქმე,
 თვითული ნორჩი ხე, შუაგზაზე შეჩერება? როცა ვე-
 ნობი ამ კარის ცხოვრებას, არ შეიძლება არ გაგახ-
 სენდეს ალექსი მაქსიმეს ძე გორკის შესანიშნავი სი-
 ტყვეები — ადამიანის ცხოვრების აზრი სწორედ ის
 არის, რომ რაც შეიძლება მეტი სიკეთე დათესოს
 დედამიწაზე.

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԳԱՏԱԳՈՆԱԸ

როცა ლაპარაკობენ ატომურ ომზე, ბევრს ალბათ წარმოდგენილი აქვს მეორე მსოფლიო ომი, მთელი თავისი საზინელი შედეგებით. მაგრამ, უბრალო შედარება რომ მოვახდინოთ, აღმოჩნდება, რომ ამ უკანასკნელი ომის დროინდელი ჩვეულებრივი ბომბის აფეთქების ძალა იმდენჯერ სუსტია 20 მეგატონიანი წყალბადის ბომბის აფეთქების ძალაზე, რამდენჯერაც მცირეა, ვთქვათ, ბაზალეთის ტბის ზედაპირის ფართობი ატლანტიის ოკეანის ზედაპირზე.

პირველი მსოფლიო ომის დროს ბომბის ძალა იზომებოდა კილოგრამებით. მეორე მსოფლიო ომის დროს — ცენტნერებით. ატომურ ბომბებს ასეთი საზომით ვერ მიუღებენ. მათი მასშტაბები გიგანტურია. როგორც დასავლეთ-გერმანული ჟურნალის „ნოიე პოლიტიკის“ კორესპონდენტი ტ. მიხალტშეფი აღნიშნავს, პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ 10-20 მეგატონიანი „ჩვეულებრივი“ წყალბადის ბომბის აფეთქების ძალა შეეფარდება მეორე მსოფლიო ომის 10-20 მილიონი ყველაზე დიდი ბომბის აფეთქების ძალას; „ჩვეულებრივი“ წყალბადის ბომბი — განაგრძობს მიხალტშეფი — გამოჰყოფს მრავალ მილიონ გრადუს ტემპერატურას, რომელიც ორთქლად აქცევს ჰერბსა და ფოლადს; ერთ 20 მეგატონიან წყალბადის ბომბს შეუძლია თავლის დახამხამების უმალ ფერულად აქციოს მსოფლიოს უზარმაზარი ქალაქები მთელი თავიანთი გარეუბნებით“.

დასავლეთ გერმანელი რევანუსისტების გასაგონად, მათს გასაგონად, ვინც ატომურ ომზე ოცნებობს, კორესპონდენტი წერს:

„სახვებით ნათელია, რომ თორმეტი 20 მეგატონიანი ბომბი სრულად საქმარის იქნება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გადასაქცევად ფერულად ცივ უდაბნოდ. თუ ადამიანები ჩაიკეტებიან ატომთვფისფარებში, რომლებიც დასავლეთ გერმანიაში სულ ოთხია და დაახლოებით ორმოცი ათასამდე კაცს იტევს, მათი სიცოცხლე მაინც არ შეიძლება დაზღვეულად ჩათვალოს. 20 მეგატონის (20 მილიონი ტონა ტროტილის) ძალაში წყალბადის ბომბის აფეთქების დროს ებიცენტრიდან, ე. ი. აფეთქების ადგილიდან თერმული კოლომეტრის რადიუსში ყველაფერი გადაიქცევა ფერულად დახამხამებისა და ცხოველების მილიონობით დანაშორებული გავმებით მოფენილ უდაბნოდ, სადაც არ დარჩება არც ერთი ხე, ბუჩქი, ბალახის ღერო, ვინაიდან რაც ცოცხალია და რის დაწვაც შეიძლება, მოსპობილი იქნება. ისინიც კი, ვინც ჩაქვტილი იქნებიან ატომთვფისფარებში და შიმშილისა და წყურვილის გამო იძულებული განდებიან მაღლა ამოვიდნენ, დიდხანს ვერ გაძლებენ. ნიადაგის რადიოაქტიურობა თოთხმეტი დღის შემდეგაც ისეთი ძლიერი იქნება, რომ სიკვდილი ეწერება ყველას, ვინც იქ ორ საათზე მეტს დაახანებს. ამას გარდა, წყალსა და საკვებს მაინც ვერ იპოვინან, ვინაიდან ამ გადაბუგულ უდაბნოში რაც აფეთქების დამრტყმელ ტალღას გაჟაღრჩება, იმას ცეცხლის ნიადავი და რადიოაქტიური გამოსხივება გაანადგურებს და ნანგრევებს შორის შიმშილით, წყურვილითა და გამოფიტვით გაწამებულ ცოცხლებს შეშურდებით მკვდრების ბედი“.

აი ასეთი საბედისწერო რამ არის ატომური ბომბი. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნები და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ააცილონ კაცობრიობას ატომური ომის მთელი საზინელი, განახორციელონ საყოველთაო და სრული განიარაღება და სასულდამოდ აკრძალონ თერმობირთვული იარაღის გამოყენება. და ხალხები შესძლებენ ამას, ისინი არავის არ მისცემენ ნებას უდაბნოდ აქციოს ჩვენი მშვენიერი პლანეტა.

რაც დრო გადის, სულ უფრო მჭიდროდ და მტკიცედ ირავებინან მშვიდობისმოყვარე ხალხები დიდი საბჭოთა კავშირის ირგვლივ, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ აქვს მსოფლიოში ყველაზე მაღალი ტექნიკა, აქვს სრული შესაძლებლობა თავი დაიცივას მტრის ატომური დარტყმისაგან და თავის მხრივ აგემოს მას მძლავრი, მასირებული ატომური დარტყმა, თანამიმდევრულად და დაუდალავად იღწვის იმისათვის, რომ ატომურმა ღრუბლებმა არასოდეს არ დაჩრდილონ მზე დედამიწაზე.

დღე, მიწას მუდამ სუფთა ზეცა დასცქეროდეს ზემოდან!

მურაე ჯანლიჩი

ნამდვილი ამბავი.

ამბავი ჩრდილოეთში, კამჩატკაზე მოხდა, იქ, სადაც წელიწადში შვიდი თვე თოვს და გაზაფხულზე შოთხეს გამაბრუებელი სურნელება ასდის.

მფრინავთა ოჯახში ნადირობის მოყვარულნი ბევრი ვიყავით. საყოველთაოდ აღიარებული მონადირე კი მხოლოდ ერთი გვყავდა. ეს იყო შედარებით ხანში შესული ივანე დოროფეის ძე ნოვიკოვი, რომელსაც ჩვენ უბრალოდ „დოროფეის“ ვუძახდით.

ზამთრის სუსხიან დღეებში, როდესაც უამინდობა ფრენას გვიშლიდა, მიწურში შემოვუჯდებოდით ხოლმე დუმელს და კარგი ამინდის მოლოდინში ვმასლათობდით.

დაღა გაზაფხული. სწორედ ამ დროს ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა გვიამბო: დიაკონოვის მოსახვევთან დათვი უნახავთო. ამისათვის ყურადღება არავის მივიქცევია, დოროფეის გარდა.

ივანის პირველ რიცხვებში მან და ერთმა ჩვენმა ამხანაგმა — კოლია რებროვი, სანადიროდ წასვლის თაობაზე საიდუმლო მოლაპარაკება გამართეს. ეს არც მე გამომპარვია და მცირე ყოყმანის შემდეგ ჩემს წაყვანაზედაც დათანხმდნენ. ჩვენ უნდა გაგვივლო ოციოდე კილომეტრი ავანის შესართავისაკენ, მერე მარცხნივ, მაღალი ქედის შტოს ძირამდე, და აქედან დაგვიწყო ძებნა. სწორედ ამ ადგილს უწოდებენ „დიაკონოვის მოსახვევს“.

თხუთმეტი წუთიც არ იყო გასული, მოსახვევს რომ გავცდით. უეცრად, დოროფეისი გაჩინდა. მალე რაღაც ფაჩიფური შემოგვესმა. კიდევ რამდენიმე წამიც და ჩვენ დაეინახეთ ორი პატარა დათვის ბელი. ბელემა მალე შეგვაშინეს და ბუჩქებისაკენ მოკურცხლეს. ჩვენ დავედევნეთ. ვერ დავეწვიეთ, სამაგიეროდ ბუნაგს ადვილად მივაგვინით.

დოროფეისმა თოფი წინ გაჰყო და ბუნაგში შეცოცხება დაიწყო. მე ცოტა უკან მივეყვებოდი.

გავიდა წამი, მეორე, მესამე, და ჩვენ თავით ბუნაგში ვართ. ბელეების მოზობლები კი არსად ჩანდნენ. დოროფეისმა ერთ ბელს ფეხში წაავლო ხელი და ჯერ თავისკენ მოითრია, მერე მე გადმომაწოდა. მეორეც გამოართია.

— გაიქცეთ! — დაგვიყვირა დოროფეისმა და სამივენი სირბილით წამოვედით.

ჯერ დაბინდებულნი არ იყო, დაბაში რომ მივედით. ბელეების ამბავი ელვისებური სისწრაფით გავრცელდა.

ერთი ბელი დოროფეისმა რომელიღაც ადგილობრივ მცხოვრებს არუქა, მეორე კი მე და ჩემს ამხანაგებს დაგვიტოვა. ამხანაგებმა ბელს პირველად მიშკა დაარ-



ქვეს. შემდეგ რატომღაც ჩემს მიერ არჩეულ ქართულ სახელს „დათუნას“ სცეს პატივი და დაეწვიეთ ბელის აღზრდა.

დათუნა დროებით წინა ოთახში მოვათავსეთ. კვირა დღეს ხის სახლი ავუგეთ და ეზოში დავედგით. ძალიან შეგვიყვარდა. რასაც საუკეთესოს ვიმოგინდით, იმას ვაჭმევდით. ჩვენს გარდა, მას კიდევ ერთი მეგობარი ჰყავდა, რომლის დანახვაზეც პირდაპირ ელეთმელეთი მოსდიოდა.

ეს ახალი მეგობარი გახლდათ თვრამეტი წლის საშა, რომელიც სასაიდლოში უმცროს მზარეულად მუშაობდა. რაც ჩვენს ეზოში დათუნა გაჩნდა, დღე ისე არ გავიდოდა, რომ საშა ჩვენთან არ მოსულიყო და დათუნასთან ერთი საათი მაინც არ გაეტარებინა.

ავგისტოს დამლეფ დათუნა საშას გადაულოცეთ. საშამ მწვრთნელის არჩევულებიანი ნიჭი გამოავლინა. მოკლე ხანში იმდენი რამ ასწავლა დათუნს, რომ ყველას გაოცებას იწვევდა.

— დათუნა, მოიტანე შეშა! — გაცემდა ბრძანებას ახალბედა მომთვინიერებელი და დათუნაც უმაღ შეშისაკენ გაემართებოდა.

— ყოჩაღ, დათუნა. ახლა წადი და დაისვენე, — ეტყუოდა საშა ბელს და ეს უკანასკნელიც მორჩილად წაბაჯბაჯდებოდა „სასლისკენ“.

ზამთარში წყალსადენი იყინებოდა. მდინარიდან წყლის მოტანა საშას ვეალებოდა. მან რამდენჯერმე თან დათვი გაიყოლია, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალს თავის მომთვინიერებელს და მალე დადგა დრო, როცა ჩვენ დათუნა თვითონ ასრულებდა ამ მარტვ საშუაოს.

ერთ სუსხიან დღეს საშას დაეზარა წალზე წასვლა. ცივა გამოხორია, ბელს მოუხმო და ხელში თოკი მიარჩნა. მორჩილად წაბაჯბაჯდა ბელი მდინარისაკენ. ნახევარ საათში დათუნა ტიშკარი შემოაღო და ეზოში ცივა შემოაგარა. კასრი წყლით იყო სავსე.

ჭაბუკის სისხრულს სასუფარო არ ჰქონდა. ჩვენც არა ნაკლებ გქაბარებდა დათუნას ეს წარმატება. ამ დღიდან ის მარტო ასრულებდა მეთულსის საპასუხის-მეგებლო მოვალეობას, სანამ არ მოხდა ერთი საბედისწერო რამ...

ერთხელ დათუნა ეზოში ღრილით შემოვარდა. საშასაც კი აღარ ეპეუბოდა. როცა საცმაოდ მოიქანცა, ბუნაგში შევიდა, ჩვენ ვგრძობდით, რომ დათვი ვი-ლაცამ უშიშვროდ გააბრაზა.

ყველაფერი გამორჩევა მას შემდეგ, როდესაც საშამ მდინარესთან მიჩრბინა და გადამრუნებული ცივა ნახა: რომელიღაც შარსვეტიას კასრისათვის ძირი გამოუცლია. საბრალო ბელი ამოდ ცდილობდა მის ასვლას. სიბრაზისაგან ცივა გადაბრუნდა და შინ ღრილით დაბრუნდა.

ღილით დათვი თავის სახლში არ აღმოჩნდა. არც ეზოში იყო. ბუჩქი ირბინა საშამ, მაგრამ ამოდ. დათვი არსად ჩანდა.

არავინ იცის, სად წავიდა იგი. შეიძლება ტყეში თავისი მეგობრების საძებნელად. ანდა, ვინ იცის, იქნებ ალღომ უკარნახა: დროა, ზამთრის ძილს მივეცი... და ისიც სადღეს, ადამიანებისაგან დაშორებით, ტყეში, ნამდვილ ბუნებრივ ბუნაგში მიეცა ძილქუშს.

თარგმანი
მ. ი. თ. უ. ნ.

ფრანგულმა ბურჟუაზიულმა ჟურნალმა „ექსპრეს-მა“ ასეთი გამოანგარიშება გამოაქვეყნა: „აი-ღეთ ფრანგის საშუალო შემოსავალი, რომელიც საცხოვრებლად სრულიად არ არის საკმარისი, და გაყავით შუაზე. თქვენ დაახლოებით მიიღებთ არ-გენტინელის შემოსავალს. ხოლო თუ ამ უკანასკნელს კიდევ გაყოფთ, მიიღებთ ბრაზილიელის შემოსავალს. ეს თქვენ მოგცემთ წარმოდგენას თუ რა დაბალია იქ ცხოვრების დონე. მაგრამ თუ ბრაზილიელის შემოსავალს კიდევ გაყოფთ ორად, თქვენ დაგრჩებათ ეკვადორის მცხოვრების შემოსავალი, ხოლო თუ მას კიდევ ორად გაყოფთ, მიიღებთ ბოლივიელის შემოსავალს“.

ჟურნალმა შემთხვევით როდი აირჩია ამ არითმეტიკული ვარჯიშისათვის ლათინური ამერიკა. სწორედ დედამიწის ეს უდიდესი რაიონი, ახლო და შუა აღმოსავლეთსა და აფრიკასთან ერთად, წარმოადგენს „შიმშილის ზონას“. აი, რა არის ნათქვამი ამას წინათ გამოქვეყნებულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის საკითხთა ორგანიზაციის ყოველწლიურ მოხსენებაში: „მილიარდი ადამიანი ჩვენს პლანეტაზე შიმშილობს. მათგან ოთხას მილიონს სრულიად არა აქვს საჭმელი. დანარჩენები იკვებებიან „დროდადრო“. და ეს ნახევრად მშიერი ცხოვრება საგრძნობლად ამოკლებს მათ სიცოცხლეს“.

ასე, თავისდაუნებურად, ბურჟუაზიულ ჟურნალსაც წამოსცდა ის მწარე სიმართლე, რასაც ასე გულმოდგინედ ფარავენ თანამედროვე კაპიტალისტური სამყაროს მესვეურები: კერძოდ ის, რომ ექსპლოატაციასე დაწყარებული წყობილება შიმშილსა და სიღატაკეს იწვევს არა მარტო ცალკეულ ქვეყნებში, არამედ მთელ კონტინენტებზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, „შიმშილის ზონებში“ ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავალი ოცჯერ, ოცდასუთჯერ ნაკლებია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამის შედეგად ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში შიმშილისაგან ყოველწლიურად იღუპება მცირეწლოვანი ბავშვების დაახლოებით ოთხმოცი პროცენტი. ეს სუსტად განვითარებული ქვეყნები, სადაც ასე ანადგურებს ადამიანებს შიმშილი, ყოფილი კოლონიებია. მართალია, ამ ქვეყნების ხალხებმა მოიპოვეს დამოუკიდებლობა, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ მტანჯველად განიცდიან იმპერიალისტების ბატონობის შედეგებს.

დიდი ინდოელი პოეტი რაბინდრანათ თაგორი წერდა, რომ „მშიერმა ინდოეთმა გამოკვება გასუქებული ინგლისი“. მართლაც, ინდოეთში ინგლისის ბატონობის



პარიზის გარეუბანში.

ჩვენი მშვენიერი

ცობრიობისათვის არის ადამიანთა გამრავლების ხელონური შემცირება.

არცთუ იხე დიდი ხნის წინათ ამერიკელმა სოციოლოგმა ლონ რობინსმა გამოსცა წიგნი „აზიელები ბევრი არიან“. უკვე სათაურივე ამხილებს ავტორს, როგორც კოლონიალიზმისა და მალთუსიანელების მომხრესა და აშკარა დამცველს. თავის „წიგნში“ ეს ვაჟბატონი ამტკიცებს, რომ თუ სუსტად განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის რაოდენობა წელიწადში გაიზრდება თუნდაც ერთი პროცენტით, მაშინ იქ ცხოვრების დონის ამაღლებას ადამიანები ვერასოდეს ვერ შესძლებენ.

თუ რაოდენ უსაფუძვლოა ეს შეხედულება, ნათლად ჩანს თუნდაც შემდეგიდან: ამჟამად მთელ მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე მოდის ხუთი ჰექტარი მიწა. აქედან მუშავდება მხოლოდ ჰექტარის ერთი მეოთხედი, დანარჩენი მიწა დაუმუშავებელია. მაგალითად, ეთიოპიაში დაუთესავია სამოცდაათ მილიონზე მეტი ნაყოფიერი მიწა, ბრაზილიაში დაუმუშავებელია მდინარე ამაზონკის აუზის საუკეთესო მიწები.

საინტერესო მონაცემები მოყავს ფრანგ ეკონომისტ სპედს. იგი თვლის, რომ არსებული ფართობების რაციონალურად გამოყენებით შეიძლება გამოიკვებოს ოცდათხუთმეტი მილიარდი ადამიანი, ამასთან ეს ციფრი ზღვარს როდი წარმოადგენს მომავლისათვის.

ფრანგმა ეკონომისტმა არ მონდოებს და ვერც შეძლო მილიანად აეხსნა დედამიწაზე შიმშილისა და სიღატაკის მიზეზები, რაც ადამიანის მიერ ადამიანის, ერთი ხალხის მიერ მეორე ხალხის ექსპლოატაციაში მდგომარეობს. ახლა, როცა სოციალიზმი კაპიტალიზმთან შეჯიბრებაში გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევს, ბურჟუაზიის მეზარადტრენი არაფერს არ იშურებენ იმისათვის, რომ შეალამაზონ კაპიტალისტური სინამდვილე, წარმოკვიდგინონ იგი მისალმე ფორმებში. მაგრამ, როგორც ამბობენ, ფაქტები ქვიცნები, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატები. იქნებ ამ ქვეყანაში მართლა არის რაიმე ისეთი, რაც ოდნავ მაინც ამართლებს „საყოველთაო კეთილდღეობის“ ბურჟუაზიულ რეკლამას?

რა თქმა უნდა, ცხოვრების საშუალო დონის მხრივ ამერიკის შეერთებული შტატები უფრო წინ დგანან, ვიდრე სხვა კაპიტალისტური ქვეყნები. ამერიკის შეერთებული შტატები ამჟამად მსოფლიოში პირველ ადგილზეა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მიხედვით. ამასთან, თუ ბევრმა სახელმწიფომ, მათ შორის საბჭოთა კავშირმაც, ერთი თაობის პერიოდში განიცადა ორი დამანგრეველი ომი,

რომის ქუჩებში.



ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე თითქმის ასი წელია არ ყოფილა სისხლისღვრა.

მაგრამ როდესაც ვლადიმერ კონგრესის საშუალო მარჯვენა ბლოკში, უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო წარმოების დონე, არამედ ისიც თუ როგორ ნაწილდება წარმოებული პროდუქცია. ამ მხრივ ამერიკული საშუალო მონაცემები სრულიადაც არ ასახავენ ამერიკის შეერთებული შტატების ხალხის ცხოვრების ტენდენციას.

პრეზიდენტმა ჯონსონმა კონგრესში წარმოთქმულ თავის პირველ სიტყვაში განაცხადა, რომ ადამიანების „სიღარიბე და გაჭირვება“ კაპიტალისტური სამყაროს ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში, კვლავ რჩება ერთ-ერთ მწვავე პრობლემად. ამ სიღარიბისა და გაჭირვების კოლოსალური მასშტაბი ნათელი ხდება, როცა გვეცნობით წიგნაკ „სიღარიბე და გაჭირვება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ერის ორი მესუთუდის მიმე მდგომარეობა“. ეს წიგნი მოამზადა ამერიკელ გეოგრაფთა კავშირმა 1963 წელს ლეონ კაიზერლინგის ხელმძღვანელობით.

წიგნაკის ავტორების დასკვნით, 1960 წელს სიღარიბესა და გაჭირვებაში ცხოვრობდა 77 მილიონი ამერიკელი ანუ ქვეყნის მოსახლეობის ორი მესუთუდი, და მხოლოდ 7 პროცენტი ე. ი. 12,5 მილიონი კაცი ცხოვრობდა უზრუნველყოფილად.

ვინ არიან ეს მცირე შემოსავლიანი ადამიანები და რატომ არის მათი შემოსავალი ასე დაბალი? კითხუ-

ლობენ წიგნაკის ავტორები და თვითონვე უპასუხებენ, რომ ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, არის გაჭირვებაში მყოფი ოჯახების მარჩენალთა უმუშევრობა. ასეთ პირობებში სასაცილოც კია „საკოველთაო კეთილდღეობასა“ და „საკოველთაო თანასწორობაზე“ ლაპარაკი. ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური მონაცემებით ამერიკაში მილიონობით უმუშევარია. ამ უმუშევრებს, როგორც პროფკავშირული ლიდერი ჯორჯ მინი აღიარებს, „არ შეუძლიათ შეიძინონ პირველი მოხმარების საგნები“, ამ ადამიანთაგან ბევრმა უკვე დიდი ხანია დაკარგა უფლება უმუშევართათვის განკუთვნილ დახმარებაზე და მხოლოდ საქველმოქმედო ორგანიზაციების მიერ გაღებული მოწყალეობით ცხოვრობს. თუ როგორია ეს დახმარება, ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მილერის წერილი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ოფიციალურ ანგარიშში „კონგრესულ რეკორდში“ იყო გამოქვეყნებული. მილერი მოგვითხრობს კენტუკის შტატის ბელის ოლქის მოსახლეობის მიმე მდგომარეობაზე და იქვე წერს: „10 ათას კაცს არსებობა უხდება იმ სურსათ-საწოვით, რომელსაც მთავრობა ანაწილებს. აპრილში ერთ კაცზე 30 დღიანი დახმარება ერთი დოლარისა და 25 ულუგა სიმინდის შეტანად, მშრალი რძის, ბრინჯისა და ერთი გირვანკა სორცისაგან შედგებოდა. ეს კი შიმშილისაგან თანდათანობით სიკვდილს უდრის... შიმშილი კი ამერიკის შეერთებულ შტატებში ათასობით ადამიანის ყოველდღიური სვედრია“. მას საფუძვლზე ეთანხმება ამერიკის კონგრესის წარმომადგე-

ნელთა პალატის წევრი სალივენი. „შიმშილი ამერიკაში, — ამბობს ის, — ისეთივე რეალური მოვლენაა, როგორც ის შედგენი პროდუქტები, რომლებიც საწყობებში ინახება“.

სწორედ ამ სიტუაციისა და გაჭირვების შედეგია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად თავს იკლავს 25-35 ათასი ამერიკელი. დოქტორ ლუის დუბლინის მონაცემებით, რომელიც სადაზღვეო კომპანიის „მეტროპოლიტენ დაიფ ინსურენსის“ სტატისტიკურ განყოფილებაში მუშაობს, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად 200.000 მეტი კაცი ცდილობს თავის მოკვლას. ყველა ეს ადამიანი, აღნიშნავს დოქტორი დუბლინი, საჭიროებს ამა თუ იმ დახმარებას.

კაპიტალიზმს რომ არ შეუძლია გადაჭრას მოსახლეობის პროდუქტებით უზრუნველყოფის საკითხი, ეს კარგად ჩანს თუნდაც ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე. მაშინ, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში მრავალი მილიონი ადამიანი შიმშილობს, კორპორაციების საწყობებში ლევა უამრავი პროდუქტი, რომლის შენახვა ყოველწლიურად ერთნახევარი მილიარდი დოლარი ჯდება.

ასეთი ბურჟუაზიული რეკლამა და სინამდვილე. ასეთ მდგომარეობას, როგორც თვით დასავლეთის პრესა აღიარებს, შეიძლება ვუწოდოთ „მუსლამდე საჭმელში მდგომი, შიმშილისაგან დატანჯული ადამიანის პარადოქსი“.

სიგონ ნასარიძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ბონდო ქაქუცაძე

ეს ერთი ღამე

ეს ერთი ღამე ჩვევ ლექსთან უნდა ვათიო, ისევ ლექსისთვის დაიფერფლოს სათნო წუთები, გულს ნუ ბორბავ, უძილობა ვთხოვ მაპატიო, მე ახლადშობილ, ჩვილ სტრიქონებს ვებუტბუტები.

ნათელ ღამეში ვარსკვლავთ ციმციმს არ მაკლებს ზეცა, ახა ხაცაა, ხავხე მთვარეც გაიბადრება, არ მომწყინდება, სიხარულით ვიზრდები მეცა, აღიონამდე მჭერა ლექსი დაიბადება.

გელი ამ წუთებს და ამ ფიქრით ვარ ანთებული, ვინ გამოიხედავს ხმის გაცემას, ან გაკარბას, ვაჟა-ფშაველას მთასავით ვარ ამაღლებული, ცეცხლი ვარ ახლა, მოგიწვივ და თაკარება.

რად არ ჩამოხვალ


ა, ის ბილიკი, ის კაკლის ხე, ღობე, ასკილი, შენ რომ ვიყვარდა, შეხხაროდო, ისევ აქ არი, ის ნეკერჩხალიც კვლავ ისე დგას ტოტებჩაბსკვილი, და დღენიადავ არ შორდება ქვეშური ქარი.

რად არ ჩამოხვალ, ეს სოფელი რად დაივიწყე, არ გენატრება აქ გავლა და ის ცივი წყარო, თუ კი აგრეთ, მშვენიერო, რომ ვთქვა, ნუ მიწყენ, მისი სურვილიც არ გქონია, მე გამახარო.

ნუ შეტყვი მწარეს

ნუ შეტყვი მწარეს, მწარე სიტყვებს უფრთხილდი ჩემთან, ჩემს გულს ხანდაზმულს უკვე უძიობს ატანა მისი, წმინდა გრძობებმა, სიყვარულმა ჩვენ შეგვავრთა, ვერ ვურიგდები შენგან მსუსხავ სიტყვების ხისინს.

ტყბილად ვატაროთ დარჩენილი ჩვენი დღეები, ცხოვრების გზაზე ბევრი მწარე სიტყვა მხმენია, მის შხამს და ნადვებს მე თანდათან ვეცალკევი, შენ გულს ნუ მატყენ, ეს გული ხომ ახლა შენია...



სიგონ ნასარიძე
ქაქუცაძე

ამ ქალარა კაცს, თომა ბერეკაშვილს მეტად მშვიდობიანი პროფესია აქვს — ის ცნობილი ქართველი სტომატოლოგი გახლავთ. მაგრამ რაოდენ საჭირო იყო მისი მშვიდობიანი პროფესია სამამულო ომის დროსაც.

წყვეულმა ტყვიამ ხომ გარჩევა არ იცის—ვინ მოთვლის რამდენი მეტროლოგი დაჭრილა სახისა და ყბის არეში. აი აქ, მართლაც სულზე მისწრებასავით საჭირო გახდა ბერეკაშვილის ოსტატობა და მაღლიანი მარჯვენა. სპეციალურ ჰოსპიტალში მან სახესა და ყბაში დაჭრილი ათასობით მეტროლოგი გადაარჩინა სიკვდილს, მრავალი ადამიანს ააცდინა სიმახინჯე.

თომა ბერეკაშვილს დაბადებიდან სამოცი წელი შეუსრულდა. ათეული წლების მანძილზე იგი დაუღალავად ემსახურება ჩვენი ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

გამოცდილმა სპეციალისტმა დიდი ღვაწლი და ამაგი დასდო საქართველოს სტომატოლოგიური კადრების აღზრდისა და დასპეციალების საქმეს. მუდამ ძიებაში გართულს, დაუღალავ მშრომელს, საუკეთესო აღმზრდელსა და გულისხმიერ ადამიანს — ასე იცნობენ ახალგაზრდები თავიანთ საყვარელ პედაგოგს — თომა ბერეკაშვილს.

რესპუბლიკის სამედიცინო საზოგადოებრიობა, სტომატოლოგები, ათასობით მშრომელი, რომლებსაც წლების მანძილზე გაუფლიათ თ. ბერეკაშვილის ხელში, მრავალი წლის სიცოცხლეს და ნაყოფიერ მოღვაწეობას უსურვებენ ღვაწლმოსილ ოუბილარს.

წ. სილაგაძე.

1961 წლის საფეხბურთო სეზონში ბევრი საინტერესო და დასამახსოვრებელი შეხვედრა მოეწყო; მათ შორის, ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თურქეთის ეროვნული ნაკრებისა და საბჭოთა კავშირის ნაკრების მატჩს ჩილის მსოფლიო ჩემპიონატის საფეხურის მოსამზადებლად. ეს შეხვედრა გაიმართა 1961 წლის 19 ივნისს, 24 ივნისს კი საბჭოთა კავშირის ნაკრები შეხვდა არგენტინის ეროვნულ ნაკრებს.

თითქმის არც ერთ გულშემატკივარს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ საბჭოთა ფეხბურთელები ადვილად სძლევენ თურქებს. არგენტინელებთან მატჩმა კი ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს ბუნებრივად არის: არგენტინულმა ფეხბურთმა დიდი ხანია უძლიერესის სახელი მოიპოვა მთელს მსოფლიოში. ჯერ კიდევ შეეცდის მსოფლიო ჩემპიონატში არგენტინა ადარებულ იყოს მსოფლიო ჩემპიონობის № 1 კანდიდატად. მართალია, არგენტინელებთან მატჩი ამხანაგური იყო, მაგრამ სწორედ ამ შეხვედრაში შეიძლება მოგვეხსენიო ჩილის მსოფლიო ჩემპიონატის კონტურები.

მე წილად მხვდა ბედნიერება ამ მატჩების წინ ვყოფილიყავი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებთან. ისინი წვრთნას ვადიოდნენ მოსკოვში, ვსუკოვს აეროდრომის ახლოს მდებარე პატარა დასახლებულ პუნქტთან, რომელსაც „აზიორას“ ეძახდნენ. ფეხბურთელები დაბანაკებული იყვნენ ლამაზ ორსართულიან კოტეჯში, რომელშიც თურმე ადრე ფელდმარშალი პაულიუსი ცხოვრობდა. სლავა მეტრეველს ადრეც ვიცნობდი. მაგრამ ამ დღეებში მე მას განსაკუთრებით დავუახლოვდი.

„თურქებს ადვილად მოვუგებთ, მაგრამ არგენტინელებთან ძალზე სერიოზული შეხვედრა გველის“ — მითხრა სლავამ. ეს შიში არ იყო საფუძველს მოკლებული. არგენტინელები თორმეტჯერ იყვნენ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონები, ეს მაშინ, როცა მსოფლიო ჩემპიონებმა — ბრაზილიელებმა მხოლოდ ოთხჯერ მოიპოვეს ეს საპატიო ტიტული.

ყველა კომბინაცია, ყველა ფეხბურთელს შეეძლო თვალნათლივ დაენახა და დარწმუნებულიყო თუ რა შედეგად მას.

სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ „სამხედრო შტაბში“ მართლ თავისი მატჩებით როდი კმაყოფილდებოდნენ. ფეხბურთელებს აჩვენებდნენ მრავალი ქვეყნის ცნობილი საფეხბურთო კლუბების მატჩებს.

სლავას, აი, როგორ უნდა გადავიყიო აი როგორ უნდა გასვლა! — ფაქტს ვერსად გაეცდოდი: ჩვენ მოწინე ვხდებოდით მისი დიდი ტექნიკის დემონსტრირებისა, მისი ტექნიკური მახვილგონიერებისა და სწრაფ-აზროვნებისა, რასაც უდიდესი ადგილი უჭირავს თანამედროვე ფეხბურთში.

(გაგრძელება იქნება)

სლავა მეტრეველი ორ დამცველს შორის.



ს ლ ა ვ ა კ ა დ ე მ ი ა

გურამ შანგიძე

ფოტო მ. თურქიანი

სწორედ მაშინ აღმეძრა სურვილი წავსულიყავი ამ შესანიშნავი ფეხბურთელისა და სპორტსმენის ცხოვრებაზე.

სლავა მეტრეველის სახელი უკვე დიდი ხანია იცინა ფეხბურთის გულშემატკივრებში. მისმა ოსტატურმა, დებუნდებულმა თამაშმა მართლ საბჭოთა გულშემატკივრები როდი მოხიბლა. მეტრეველის ტალანტსა და ნიჭს დააბრალებენ ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, არგენტინაში, ჩილიში, ურუგვაიში და საერთოდ ყველგან, სადაც კი იგი მწვენი მოედანზე გამოხლულია. სლავა მეტრეველი რამდენჯერმე შეიყვანეს ევროპის ნაკრებში. ეს კიდევ ერთი დადასტურება იმ დიდი აღიარებისა, რომელიც ამ ნიჭიერმა ფეხბურთელმა მოიპოვა.

იმ სამხსროვრო დღეებში მე დავუახლოვდი შესანიშნავ ფეხბურთელებს — ლევ იაშინს, ვალერი ვორონინს, ნიკოლოზ მანაშინს, ვლენტინ ივანოვს, ვიქტორ პონომეილნიკს. რამდენიმეჯერ ვესაუბრე გავრილ კაჩალიანს, რომელიც მაშინ საბჭოთა კავშირის ნაკრებს წვრთნიდა.

შეიძლება ითქვას, რომ ის დღეები მე ვიცხოვრე ფეხბურთელების ცხოვრებით, გადავიტანე ყველა ის მძლე ვარება და მოლოდინი, რომლის გადატანაც ჩვენს ფეხბურთელებს მოუხდათ თურქეთისა და არგენტინის ეროვნულ ნაკრებებთან შეხვედრის წინ, ახლოს გავეცანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფეხბურთელების „ლაბორატორიას“, მათ „სამხედრო შტაბს“, ვესწრებოდი ცალკეული თამაშების გარჩევას, ვისმენდი ფეხბურთელების გამოსვლებს, ვეცნობოდი მათს აზრებს, შეხედულებებს.

საბჭოთა ფეხბურთელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საფეხბურთო სტრატეგიას. თეორიულ მეცადინეობას ყოველდღიურად ეთმობოდა სამი-ოთხი საათი. „ლუშენიკებზე“, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე არის ერთი პატარა ოთახი, უფრო სწორად, პატარა კინოდარბაზი. ძირითადად, ამ კინოდარბაზში ტარდებოდა თეორიული მეცადინეობა. საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოველი ვარჯიში, საწვრთნელი თუ ოფიციალური მატჩი გადაღებულია კინოფირზე. თვითუფლი თამაში ექრანზე სამი-ოთხი საათი მაინც მიმდინარეობს. ეს შემდეგი მიზეზითაა გამოწვეული: თამაშები გადაღებულია როგორც მსხვილი პლანი, ასევე შორი პლანი. რასაკვირველია, ამ კინოსურათებს არა აქვთ ე. წ. კინომონტაჟი, თვით ებოზოების თანმიმდევრობაც კი არ ეყოლია. მაგრამ ფილმის მსვლელობისას ებოზოდების თანმიმდევრობას როდი ექცეოდა მთავარი ყურადღება. აქ საქმე ის იყო, რომ ყოველ ფეხბურთელს დაენახა თავისი თამაში, თავისი ტექნიკური და ტაქტიკური შეცდომები.

ამ დოკუმენტური ფილმების დემონსტრირება შემდეგნაირად ხდებოდა. წინ ყოველთვის ჯდებოდა გავრილ კაჩალიანი, უკან კი ფეხბურთელები იწეობოდა ფილმი. პირველად აჩვენებდნენ თამაშს, გადაღებულს შორი პლანი. აქ არცთუ მთლად გარკვევით მოჩანდა ფეხბურთელთა ინდივიდუალური თამაში, მაგრამ ტაქტიკური ნახაზი და ტაქტიკური შეცდომები ძალზე თვალსაჩინო იყო.

უფროსი მწვრთნელი მისჩერებოდა ექრანს და კომენტარს უკეთებდა

სწორედ იმ ხანებში თურქმა ფეხბურთელებმა მატჩი გამართეს საბჭოთა კავშირის მომავალ მოწინააღმდეგესთან — დანიის ეროვნულ ნაკრებთან. ეს თამაში ერთი კვირის შემდეგ უკვე ვნახეთ ამ პატარა კინოდარბაზის ეკრანზე. მწვრთნელსაც და ფეხბურთელებსაც საშუალება ჰქონდათ ექრანზე ენახათ თავიანთი მომავალი მოწინააღმდეგეები — თურქები და დანიელები, შეედგინათ მომავალი მატჩების გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა ცალკეული ფეხბურთელების ინდივიდუალური თვისებები.


როდესაც დამთავრდებოდა მატჩის შორი პლანიდან ჩვენება, შემდეგ იწყებოდა მსხვილი პლანი გადაღებული ებოზოდების დემონსტრირება. ამ შემთხვევაში ექრანზე მხოლოდ ის ფეხბურთელი ჩანდა, რომელსაც ბურთი ჰქონდა. ყოველ ფეხბურთელს საშუალება ჰქონდა დაეკვირვებოდა თავის მოძრაობას, გარდევას, დრიბლინგს, ფენტს, ბურთის მიღებას, დამუშავებას, დარტყმას.

ამ დღეებში მე ვნახე რამდენიმე ფილმი, მათ შორის ექვსი ისეთი, რომელშიც სლავა მეტრეველი მონაწილეობდა.

ვუცქიროდი ექრანს და სასიამოვნო შრუანტელი მივლიდა, როცა მესმოდა გავრილ კაჩალიანისა და ანდრეი სტაროსტინის სიტყვები: „შეხედეთ



სლავა მეტრეველი



ნინო ზაბიძე

ცხრაას თვრამეტი წელი... ის-ის იყო დაგამთავრე თელავის წმიდა ნინოს სასკოლის სასწავლებელი და თბილისში ჩამოვედი. აქ, მანძივე ახალგაზრდა ქართველ პოეტთა წრეში მოვხვდი.

მოვდივარ ერთხელ ტიციან ტაბიძესთან ერთად რუსთაველის პრესბექტზე. შეგბარით გაზაფხულს, ხალხს, ახმაურებულ ქუჩას... უცხად ვხედავ შორიანს მოდის მალაღ-მალაღი მოხუცი, მოდის და ასე გგონიათ, რომ ირგვლივ სიცოცხლესა და სიხარულს ამბატებს ყველაფერს.

შეგჩერდი. რაღაც შეუცნობელმა გრძნობამ ამაღელვა. ტიციანს მკლავზე ვტაცე ხელი და ვეკითხებო:

— ვინ არის ეს კაცი?
პასუხის მიღება ვერც კი მოვასწარი, რომ მოხუცი დარბაისლური ნაბიჯით მოვიდა ჩვენთან და ნათელი, ხალხიანი ღიმილით ორივე ხელი გაუწოდა ტიციანს. ეს იყო ოვანეს თუმანიანი — ცნობილი სომეხი მწერალი, გამომხატველი თავისი ხალხის კეთილშობილებისა და სულიერი სიდიადისა.

ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს დაკარგული მამა ხელახლა ვიპოვე. შემდგომში თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი ოვანეს და მის მიმართ ჩემი პირველი შთაბეჭდილება არა თუ განელდა, არამედ კიდევ უფრო მეტად გაღრმავდა და გაიზარდა.

იგი ესწრებოდა ყოველ საღამოს, რომელსაც ჩვენი პოეტები აწყობდნენ. ამ საღამოებზე ოვანესი ხშირად გამოდიოდა სიტყვით, ანდა კითხულობდნენ მის წერილებს, რომლებიც მეგობრული სიტყვით იყო აღსავსე.

არ ყოფილა ისეთი სიხარული და მძიმე დღე, რომ იგი არ გამოჩენილიყო ქართველ მეგობართა წრეში, როგორც მათი ჭირისა და ღონის თანამოხიარე.

...მასობს, 1920 წელს გაზეთში გამოქვეყნებული ვანცხადება: ტიციან ტაბიძის ბინაში სერგეი გოროდეცი წაიკითხავს მოხსენებას პოეზიაზე.

შეძრწუნებული ვარ! ტიციანი და მე ის-ის იყო შევეუდღედი. ჩვენი ბინა ცარიელია, არც ფული გავაგანია. აღუვებელი ვეგებები გოროდეცის და სასოწარკვეთილი ვეუბნები: „რა მემეღებ? ჩვენ მხოლოდ ოთხად-ოთხი სკამი გვაქვს და არც ერთი კაპიკი არ მოგვეძებნება!“ იგი ოლიმპური სიმშველით მიცხადებს, რომ ფული არც მას გააჩნია, „მაგრამ არა უშავს, სკამებს მეგობრებისაგან ვინათხოვრებთ!“

ახალბედა დიასახლისის ასეთი სიტყვები აბა როგორ დამამაზებდეს! უადგილობის გამო, მოსული ხალხის ნაწილი თუ დაიძლება, ნაწილი ხომ მაინც დარჩება და როგორ უნდა გავუძღვე მათ? რით გაგუქმასინძლდე?

როგორც იქნა შევავრთეთ სკამები და ჩვენს დიდ ოთახში განვალაგეთ. საღამოს შეიკრება ხალხი.

რამდენიმე საათის შემდეგ საღამო დამთავრდა. ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, ჩვენი მეგობრების გარდა. აი, აქ არიან ოვანეს თუმანიანი, მხატვარი სულეიკანი ცოლით, მხატვარი სორინი, პოეტი რაფალაიანი, პაოლო იაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, ლადო გუდიაშვილი, ილია ზდანაიანი და სხვები.

წარმოიდგინეთ დიასახლისის შეცხუნება. ყველანი უკვე მაგიდის გარშემო სხედან, მე კი არ ვიცი რითი ვცე მათ პატივი. უცხად ოვანეს თუმანიანი დგება და კარისაკენ მიდის, მე შევხედავებ მივხედავ მას. ოვანესი თავზე მისვამს ხელს და აღერსით მეუბნება. რომ მალე დაბრუნდება.

მართლაც, არ გასულა ნახევარი საათი, რომ ვიდაცამ საწოლი ოთახის კარზე დააკაკუნა. ვაღებ კარს. ზღურბლთან ნათელი ღიმილით ჩამომდგარა ოვანესი, მის უკან კი მუშები დგანან უზარმაზარი კალათებით.

— შვილო, ახლა შევიძლია აღარ ინერვიულო, ყველაფერი მოგიტანე!
გუუყურებ: ერთი კალათი ხორავითა და ჭურჭლითაა სავსე, მეორეში კი ღვინის ბოთლები აწყვია. ოვანესი ხალხით მშველის სუფრის გარშემო. დილაღად ვუსხედით მაგიდას და, სხვა საუბართან ერთად, ყურადღებით ვუსმენდით ოვანესის გულითად სიტყვებს ხალხთა ძმობასა და მეგობრობაზე.

მე ზოგჯერ მაიწყდებოდა ტიციანისა და ჩემი შეუღლები თარიღი, ოვანესი კი არასოდეს არ ივიწყებდა ამ დღეს. თუ სახლში არ დავეხვებოდით, იგი ყვავილების თაიგულსა და მოლოცვის ბარათს ვეიტოვებდა ხოლმე.

შვიდ მაისს ქართველი პოეტები „პოეზიის დღეს“ აღნიშნავდნენ. ამ დღეს ოვანესისათვის დიდი სიხარული მოჰქონდა. იგი დილიდანვე გზავნიდა ყვავილებსა და ბარათებს, შემდეგ კი თვითონაც მოდიოდა, რომ ჩვენთან ერთად ეხეიმა!

ზოგჯერ ჩვენ ჯგუფად მივეშურებოდით ოვანესის სახლისაკენ და მთელ ვოწნესენსკის ქუჩაზე გავყვითოდი მის სახელს. ახლად გამოდებოდნენ ოვანესის სწრაფად გადაიკვამდა ხალხთს, აივანზე გამოვიდოდა და ხალხისთან გვეხმინებოდა. ჩვენი სიყვარულის გამომხატვის შემდეგ, გულთბილად ვეშვიდებოდით ოვანესს და ქრიაშულით ვბრუნდებოდით უკან. ყველანი კმაყოფილები ვიყავით, რომ იგი ვინახულოთ.

დილაობით ოვანესი ხშირად მოდიოდა ჩვენთან. ტიციანი უკვე ღიმილით იყო სახლიდან, ოვანესი აიღებდა ხოლმე სკამს, მომიჯდებოდა გვერდით, ქალაქსა და ვანქარს მომაწოდებდა და რუსულ ენაზე მიკითხავდა თავის ლექსებს. ამ ლექსებს მე ქართულად ვთარგმნიდი. ერთ-ერთი ლექსის ბეჭდვით დღემდე მაქვს შემონახული — ესაა მისი ლექსი „ჯგარი ვაზისა“.

მე ძალიან მიყვარდა მისი ბინა. აქ ყოველთვის იყო რაღაც საამო სურნელი, იყო ხელი და ყვავილები. იგი იჯდა როგორც სიყვარულის პატრიარქი და წყნარად საუბრობდა. ყველაზე მეტად მას ქართველ-სომეხთა ურთიერთობის საკითხი აინტერესებდა, სულ იმას ამბობდა, რომ ჩვენი ხალხები ძმები არიან და თვითონაც ამ ძმური სიყვარულის ცოცხალი განსახიერება იყო.

უკახასკენლად ოვანესი ავადმყოფი ვნახე, როცა იგი სამკურნალოდ უნდა გამგზავნებოდა თბილისში დაბრუნებული ოვანესი თავს ცუდად გრძობდა — იწვა სააკად-მყოფოში რტიშვილის ქუჩაზე.

ჩვენ მივდიოდით იქ, რომ გვეკითხა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა: გუგზავნიდით ბარათებს, ყვავილებს, მაგრამ შიგ არ შევდიოდით, რათა არ შეგვეწუხებინა. მას უნდა მოენათლა ჩემი გონა, მაგრამ ოვანესი მისმა ქალიშვილმა — ნარინამ შეყვალა. რომელიც მისი მუდმივი თანამგზავრი და საუკეთესო მეგობარი იყო. მე შევხედიე და, რომ ჩემი ქალიშვილი დაკავშირებულია მის ქალიშვილთან, როგორც თავის მეორე დასთან.

ამ დიდი პოეტის გარდაცვალება იგლოვა მთელმა ამიერკავკასიამ. მე არ მახსოვს, როდისმე ასე გულწრფელად დაეტიროთ ვინმე სხვადასხვა ხალხის პოეტებს. ოვანეს თუმანიანის ანდერძი, რომ იგი დაემარხათ საქართველოს დედაქალაქ თბილისში, მის საყვარელ ქალაქში, სამარადისოდ აკავშირებს ჩვენთან ამ პოეტს, რომელმაც მთელი სიცოცხლე ხალხს შესწირა და უმწიველოდ გამოატარა ხალხთა მეგობრობის დროსა.

ზაფხული იყო. აგარაკიდან თბილისში ჩამოვედი. საღამო ხანს ჩვენთან ტიციანის მეგობრებმა — პაოლო იაშვილმა და ვალერიან გაფრინაშვილმა შემოიარეს, რომ ერთად გავგეხინა საღამო. სოლოლაკში წავიდით. „სტელას“ ბაღში. იქ სიმონიკო ფირუზიანს, პაოლო მაკინციანს, ალექსანდრე შირვანზადესა და ნიკოლო მიწიშვილს შევხვდით. ყველა ბაღის მარჯვენა კუთხეში ჩვენს მიერ ამოჩემებულ თალარში შევიკრიბეთ. მაგიდის ირგვლივ შემომხსდარნი ცივ ღვინოს შევექცეოდით და თან ლიტერატურასა და ხელმოწებებზე ვსაუბრობდით. შირვანზადემ გვითხრა, ამ დღეებში ერევნიდან ელიშე ჩარენცი ჩამოვო. ეს სახელი ჩვენ ოვანეს თუმანიანისაგან გვეცნოდა გაგებულნი.

ერთხელ, მის საყვარელ მაყალთან შემოკრებილებს და მისი მკვერმეტყველებით მოკა-ღოულებს, მან გვიამბო ამ ახალგაზრდა ნიჭიერ პოეტზე.

იმ საღამოს პაოლო მაკინციანმა, დახვეწილი ვემოვნების ქონე ადამიანმა, წავაკითხა ელიშეს ლექსი „მეშუთხანავი დობილებს შორის, მე გურჯისტანში ვნახე“. ეს ლექსი ფირუზიანმა იქვე გადაგვითარგმნა სიტყვა-სიტყვით. სიმონიკო მეტად ეურულბული და ჭკვიანი კაცი იყო. ჩემს ტიციანს ძალიან უყვარდა იგი და მეგობრობდა მასთან. ჯოსზე დაყრდნობით ვეება სათვლიანი შირვანზადე გვიამბობდა ელიშესთან, ისაკიანთან და პაოლო მაკინციანთან შეხვედრებზე ფლორენციაში. რა გატაცებით იცოდა შირვანზადემ ამბების მოყოლა!

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ კვლავ შევიკრიბეთ „სტელაში“, კვლავ შემოვუსხედით მაგიდას, კვლავინდებურად ბრწყინავდა თავის მახვილგონიერულობით სიმონ ფირუზიანი, და აი, ნიკოლო მიწიშვილმა წამოიძახა: „აი ელიშე!“ მიწიშვილი მას ჯერ კიდევ უცხოეთიდან იცნობდა. დაფუძახეთ. ელიშე მოვიდა. იგი დაბალი ტანის კაცი იყო და არჩვეულებრივად ჭკვიანი თვალები ჰქონდა. ჩახედავით თვალეში და უმაღ დანახავდით მოსაოურად პატიოსან, კეთილშობილურ, სპეტაკ სულს. მაგრამ თუ შეატყობდა, რომ ცილობდით მისი სულის კუნჭულებში ჩაწყვდილი, თვალეზე თითქოს ფარდას იფარებო, იმდენად სვედიანი უხლებოდა ისინი, იმდენად სვედიანი, რომ მის შემოქრარ არ შეიძლებოდა გული არ გტყვევოდათ. ტიციანმა დანახა იგი ამ თვალეის მიხედვით, ისევე როგორც მან ტიციანი შეიკრიბო მისი ღიმილის ენისებით. როცა ტიციანი იღიმებოდა, მთელი მისი სული თვალეში გვეშვებოდა. იგი იმ ხანებში გატაცებული იყო ვაჟა-ფშაველასთან და ხალხური პოეზიით. ელიშეს იგი ესაუბრებოდა ვაჟაზე. იქვე სიტყვა-სიტყვით გადაუთარგმნა ხალხური ლექსი „ვეფხვი და მოყვ“. ყველა აღფრთოვანებული იყო.

სომხეთიდან ჩამოსვლისას ელიშე ჩარენცი ან შემოგვივილიდა ან დარეკავდა ხოლმე. ელიშესა და ტიციანის ყოველი შეხვედრა გამსჭვალული იყო შობოლოური ხალხის ლიტერატურის უსაზღვრო სიყვარულით. ერთხელ როგორღაც ელიშემ ტიციანს მოუტანა რუსულ ენაზე თარგმნილი წიგნი „ნაირის ქვეყანა“. იგი გულისტკივლით ამბობდა, რომ ორი მეგობარი ხალხი ამსოლუტურად არ იცნობს ერთმანეთის ლიტერატურას, რომ საჭიროა უფრო ინტენსიური მთარგმნელობითი მუშაობა, რათა ჩვენ ხალხებს უფრო ახლოს გავცნოთ ერთმანეთი.

ერთხელ, როცა ჩვენთან ელიშე მოვიდა, ტიციანი ჩვეულებისამებრ, თავის მრგვალ მაგიდას უჯდა და მუშაობდა. ლაპარაკი ისევ თარგმანებზე ჩამოვარდა. ტიციანი დაპირდა ელიშეს, ყველაფერს გააკეთებ, რომ ჩემს ხალხს გავაცნო სომხური ლიტერატურა. ელიშემ პკიანს ტიციანს, რაზე მუშაობო. ტიციანმა მიუგო, რომ წერს მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ევოლუციის ისტორიას. ელიშეს გაუხარდა და ტიციანს ამ წიგნის სომხურად გადათარგმნისა და დაბეჭდვის ნებართვა სთხოვა. ტიციანი დაპირდა, დავათავრებ და გამოვიგზავნი ერევანში, მაგრამ ელიშე აღარ დაელოდა, რამდენიმე დღის შემდეგ შემოვიარა, წაიღო ტიციანის ხელნაწერი და ცალკე წიგნად გამოსცა სომხეთში. ეს წიგნი, რომელიც დღემდე გამოიცა მხოლოდ სომხურ და უკრაინულ ენებზე, ელიშემ გამოუგზავნა ტიციანს წარწერით:

„ძვირფასო ტიციანს. ო, ტიციან, ვინაიდან ქალაქის კრიზისის პირობებში შენი წიგნი ჩვენს მიერ არც თუ ისე ბრწყინვალედ არის დაბეჭდილი, განაკარგულბა გავცე ეგზემპლარი ესე მოკლელო ქმნილიყო ჩვენი უსოვარდროინდელი ყდების სტოლში. მიიღე და ნუ უწყენ სომხეთის გამოცემლობას. საღამო გულითადი, შენი ელიშე ჩარენცი.“

1932.-14-III. ერევანი“
ერთხელ თბილისში ჩამოსვლისას ელიშემ შემოიბრინა ჩვენთან და ტიციანს მ. სარიანის დახატული თავისი პორტრეტი დაუტოვა. ტიციანის არქივში ვიპოვე ელიშეს ბარათი. იგი წერდა:

„ძვირფასო ტიციანი!
ჩემი წიგნისთვის მჭირდება სარიანის მიერ შესრულებული ჩემი პორტრეტი, რომელიც შენთან არის. სვალ მომიტანე, გთავაყვა, და აქ დამიტოვე. მე შემოვივლი და წავიღებ. დაგიბრუნებ ორი დღის შემდეგ.
კარგად იყავი, რატომ არ ჩანხარ?
შენი ჩარენცი

13.VI — 927 წ.
სომხეთში მოგზაურობის შემდეგ ტიციანმა დაწერა ლექსების მთელი ციკლი სომხეთზე. ლექსში „და ავტოლორი დიდ უღაბნოთა“ იგი იხსენებს ელიშეს:

მე უცხო თემში ვიყავი სტუმრად,
მაგრამ იქ უცხო არავინ არი,
ვუსმენ ჩარენცის „ეპიკურ დილას“,
მხიბლავს მარტივოს, მე, სარიანი
და ქართულ ლექსით ალაპარაკდა
ისაკიანის „აბულ-მარაი“.

ტიციანი და ელიშე განუყრელი მეგობრები იყვნენ, მათ სიცოცხლეზე მეტად უყვართ თავიანთი სამშობლო, მთელს თავიანთ ძალ-ღონესა და შემოქმედებით ნიჭს სწირავდნენ მას, და ისინი მეტისმეტად ადრე წავიდნენ ამ ცხოვრებიდან.



თითო მოქალაქე

საოცარი რამ არის სტატისტიკა — ამ ქვეყნად მას ყველაფერი აღრიცხული აქვს.

ამერიკის შეერთებული შტატების გზატკეცილებზე საავტომობილო კატასტროფებისაგან ყოველ 23 წამში სახიზრდება ერთი კაცი, ხოლო ყოველ 13 წუთში, ასევე ერთი კაცი იღუპება. საფრანგეთის გზებზე ყოველწლიურად, საავტომობილო კატასტროფების გამო, 210 ათასი მსხვერპლია, მათ შორის 10 ათასი მოკლული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი მოკლული ყოველ ერთ საათში და ერთი დაჭრილი — ყოველ სამ წუთში. ეს რიცხვები შეიძლება ასეც გამოვხატოთ: ყოველ დილით, როცა მზე ამოდის, 125 ფრანგი სადამომდე განწირულია სასიკვდილოდ. ამ რიცხვში არ შედიან ის დაჭრილები, რომლებიც იღუპებიან ოქვის შედეგიდან ორსამი დღის შემდეგ და არსად არ ირიცხებიან მოკლულთა შორის.

შემზარავი ფაქტია. კატასტროფების ასეთი „ეპიდემია“ იწყება უფრო მეტ მსხვერპლს, ვიდრე კიბო, ტუბერკულოზი ან გულსისხლძარღვთა დაავადებანი. მათი მსხვერპლი უმთავრესად მამაკაცებია: 12 მოკლულიდან — 11, 7 დაჭრილიდან — 5.

საფრანგეთის გზებზე საათში სამუალოდ 16 კატასტროფა ხდება, აქედან ყველაზე მეტი, თითქმის ერთი მესამედი — მოდის 17-დან 20 საათამდე, როცა სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ გზები გაჭედებულია მანქანებით. არა ნაკლებ სასიფათოა ღამით სიარული — ამ დროზე მოდის კატასტროფების 30 პროცენტი, აგრეთვე იმ კატასტროფების 40 პროცენტი, რომლებიც ადამიანის მსხვერპლით თავდება.

როგორც ირვევა, ავარიების მიზეზები მეტად ბევრია, თითქმის 250-ზე მეტი. ეს მიზეზები იყოფა სამ ძირითად კატეგორიად: მიზეზები, დამოკიდებული მანქანაზე, გარემო პირობებსა და შოფერზე. ყოველი 100 კატასტროფიდან, რომლებსაც ადამიანის მსხვერპლი მოსდევს, 86 შოფერის მიზეზით ხდება. მის მოქმედებაზე ხომ მთელი რიგი ფაქტორები ასდენენ გავლენას: მისი საერთო ფიზიკური მდგომარეობა, გონებრივი განვითარება, მოფიქრებულობა, რეაქციის სისწრაფე, განათლება, გამოცდილება, გრძნობათა ცალკეუ-

ლი ორგანოების მდგომარეობა, მორალური მდგომარეობა და ა. შ.

სპეციალურად იქნა შესწავლილი ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გავლენა შოფერებზე. თუ შოფერის სისხლი შეიცავს 0,12 პროცენტ ალკოჰოლს, მისი რეაქცია ხმოვან სიგნალზე ნელდება მთელი 38 პროცენტით, მხედველობით გამიზიანებულზე — 30 პროცენტით. სულ უმნიშვნელო თრობის მომენტშიც კი შოფერის მხედველობა იმდენად უარესდება, რომ მას აღარ ძალუძს დარწმუნებით მართოს მანქანა და უსურვნელოდ მოძრაობის უსაფრთხოება.

პარიზში იმ შოფერების 57 პროცენტი, რომელთა მიზეზით მოხდა უბედური შემთხვევები ადამიანთა მსხვერპლით, პათოლოგიურად მთავარი აღმოჩნდა.

სხვა მიზეზებად უნდა დავასახელოთ თვითონ მანქანის მდგომარეობა (ავარიების 9 პროცენტი). შოფერის დადღეობა (1 პროცენტი), შოფერის უყურადღებობა (11 პროცენტი), გამოუცდევლობა (2 პროცენტი) და ა. შ.


არსებობს აზრი, თითქმის ზოგი ადამიანი საჭესთან დაჯდომისთანავე იცვლება — ჰვარავს საკუთარი თავისადმი კონტროლს, ვძლევს აზარტს და უშუშმბელყოფს უსაფრთხოების ნორმებს.

ფრანგი მეცნიერი ფილიპ გრეელი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. „მანქანის მართვის დროს, — წერს იგი, — ადამიანი ისევე იქცევა, როგორც ცხოვერების სხვა შემთხვევებში... ადამიანი, რომელიც ხელს ჰკრავს თავის მეზობლებს მეტროში ან ლამიზს ურიოდ გაძვრეს სადმე, მანქანის საჭესთან უსათუოდ საშიში იქნება“.

მოუკვავს იმ შეცდომების ცხრილი, რომელთა მიზეზით 100 კატასტროფიდან 86 ადამიანის მსხვერპლით მთავრდება.

არარეგულირებულ გზაჯვარედინზე გასვლის წესების დარღვევა	23
დაუშვებელი სიჩქარით სვლა	13
არასწორი გასწვრება	7
გაუფრთხილებელი მანევრირება	7
მოძრაობის ამრკადავი ნიშნების არად ჩაგდება	7
არასწორი მოხვევა	6
მითითებული სიჩქარის გადამეტება	5
გზაჯვარედინებზე ფეხით მოსიარულება	1
უყურადღებობა სიგნალების მიმართ	1
აკრძალულ ან სასიფათო ადგილზე გაჩერება	1
შემხვედრი მოძრაობა ველისიპედით	1
დაუდგენელი მიზეზებით გამოწვეული კატასტროფები	14

რაც დრო გადის, დასავლეთის ქვეყნებში ამ შეცდომების რაოდენობა დიდდება, დიდდება კატასტროფების რიცხვიც, და ავტომანქანაც, შექმნილი ადამიანის საკეთილდღეოდ, სულ უფრო ხშირად ხდება მისი მტერი, მისი უბედურების მიზეზი.



მსოფლიოში ყველაზე მოკლე და ორიგინალური წერილი ვიქტორ ჰიუგომ დაწერა. თავისი რომანის „განწირულის“ ხელნაწერთან ერთად მან გამოცემულს გაუგზავნა ასეთი წერილი: „?“
პასუხი არა ნაკლებ ლაკონური იყო: „!!!“

— საოცარია, როგორც კი დაგინახავთ. მაშინვე განსვენებული კოვალსკი მახსენდება.
— რა შუაშია კოვალსკი? ჩვენ ხომ სრულებითაც არ ვგავართ ერთმანეთს?
— მართალია, მაგრამ კოვალსკისაც ხუთასი ზლოტი ემართა ჩემი.

— რატომ მარწმუნებდით, რომ კუ სამასი წელი ცოცხლობს? თქვენთან ნაყიდი კუ მეორე დღესვე მოკვდა!
— ეს სამწუხარო დამთხვევაა! ეტყობა, მას სწორედ სიკვდილის დღეს შეუსრულდა სამასი წელი.

— ამ წიგნში ალკოჰოლის მავნებლობაზეა ლაპარაკი. წაუღეთ თქვენს ქმარს და იგი მაშინვე დაანებებს თავს ლოთობას.
— ჩემმა ქმარმა უკვე იმდენი წიგნი წაიკითხა ალკოჰოლის მავნებლობაზე, რომ მტკიცედ გადაწყვიტა თავი დაანებოს... კიბოვას.

მთელ მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესებს 1,37 მილიარდი ჰექტარი უჭირავს. ეს ფართობი ხმელეთის დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენს (ანტარქტიდის ფართობის გამოკლებით).

მთელ მსოფლიოში ირწყვება დაახლოებით 150 მილიონი ჰექტარი, რაც მითამოქმედებისათვის ათვისებული ფართობების 10 პროცენტს შეადგენს.

საბჭოთა კავშირში 1917 წელს ირწყვებოდა 4 მილიონი ჰექტარი, 1952 წლისათვის ათვისებული იყო 7 მილიონი სარწყავი ფართობი, უახლოეს ხანებში სარწყავი მიწების ფართობები ჩვენში დაახლოებით 24 მილიონ ჰექტარს მიაღწევს.

10 მილიარდ ჰექტარ ფართობზე მოყვანილი საკვები პროდუქტები საქმარისი იქნება 65 მილიარდი ადამიანის გამოსაკვებად. ჩვენს პლანეტაზე ამჟამად დაახლოებით 4 მილიარდამდე ადამიანი ცხოვრობს.

საბჭოთა კავშირში 40 წლის მანძილზე ათვისებული იქნა 70 მილიონ ჰექტარზე მეტი ყამირი და ნახვენი მიწები.

მთელ მსოფლიოში დღეისათვის ცნობილია მცენარეების დაახლოებით 500 ათასი სახეობა, რომელთაგან ადამიანები 23 ათას სახეობას იყენებენ.

დღეისათვის ცნობილია: კარტოფილის დაახლოებით 1.000 ჯიში, ხორბლის — 4.000, ვაშლის — 2.000, მსხლის — 5.000, ქლიავის — 2.000, ვარდისა კი 10.000 ჯიში.


ჩვენს პლანეტაზე მწერების ერთ მილიონამდე სახეობა არსებობს. ამ სახეობებიდან ადამიანებმა მხოლოდ ორი სახეობის — ფუტკრისა და აბრეშუმის ჭიის ჯიშის მოშენება შეძლეს.

გავრთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, მავნებელი მწერებისა და სხვადასხვა დაავადებათა შედეგად მსოფლიოში ყოველწლიურად ნადგურდება იმდენი მარცვლეული, რაც საქმარისი იქნებოდა 400 მილიონი ადამიანის გამოსაკვებად.





მესამე პრიზი—ტემეს—64“-ს (პარიზი) კონკურსზე 1958 წელს.



თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს.

ეტიუდი შედგენილია მოტივზე, რომელსაც ჩვენ „მხედრული“ ვუწოდებთ. „მხედრულის“ შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: თეთრებს ლახიერის წინააღმდეგ რჩებათ ორი მხედარი, დაშორებული მეფით. ჩვეულებრივად ძალთა ასეთი თანაფარდობა შავების მოგებით მთავრდება, იხლოდ „მხედრულში“ ნაპოვნი მხედართა შეუღლებული მოძრაობით მეფეზე მუდმივი თავდასხმა, ამ დროს მეფე იძულებულია იაროს დაფის კიდზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, გვერდით ხაზზე გადასვლის დროს იგი ხვდება მხედრების ჩანგალში.


მოყვანილი ეტიუდი „მხედრულის“ ტიპური ნაწარმოებია.

- 1. მა2—ბ4+ მფა6—ა5
2. მხ4—ც6+ მფა5—ა4
3. მც8—ბ6+ მფა4—ა3
4. მბ6—ც4+ მფა3—ა2
5. კხ5—ფ3!!
6. მც6—ბ4+ მფა2—ა1
7. მხ4—ც2+ მფა1—ა2
8. მც2—ბ4+ და პოზიციური ყაიმია (III).

გია ნადარეიშვილი საეტიულო შელოვნების დამწებად ითვლება საქართველოში. მისი პირველი ნაწარმოები გამოქვეყნდა 1988 წელს. გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“. მას შემდეგ კომპოზიტორმა შექმნა ასოცამდე ეტიუდი. გ. ნადარეიშვილის საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკურ კონკურსებზე მოპოვებული აქვს ოცდაექვსი პრიზი. აქედან თხუთმეტი — პირველი და მეორე პრიზი. 1961 წელს საერთაშორისო საქადრაკო ფედერაციის გადაწყვეტილებით მას მიენიჭა საერთაშორისო არბიტრის წოდება, ხოლო 1962 წელს — სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება საქადრაკო კომპოზიციაში. 1952 წელს გ. ნადარეიშვილმა გამოსცა საქადრაკო ეტიუდების კრებული.


გია ნადარეიშვილი პროფესიით ექიმი, მუშაობს ქალაქის პირველ კლინიკურ სავადმყოფოში ნერვულ განყოფილების გამგედ. ახლახან მას მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდება.

ეტიუდი მიედევნა მოსკოვს საქადრაკო კომპოზიციის კონგრესის მონაწილეებს (1961 წელი).



თეთრები იწყებენ და იგებენ.


- 1. ეფ1—რ5!!
2. მფა7—ბ6 მფხ3—h2
3. მფხ6—ც5 h4—h3
4. მფც5—d4 მფხ2—h1
5. მფდ4—e3 h3—h2
6. ეფ5—g3!
7. მფა7—ბ6 მფხ3—h2
8. მფხ6—ც5 h4—h3
9. მფც5—d4 მფხ2—h1
10. ეფ5—g3!
11. მფა7—ბ6 მფხ3—h2
12. მფხ6—ც5 h4—h3
13. მფც5—d4 მფხ2—h1
14. მფდ4—e3 h3—h2
15. ეფ5—g3!
16. მფა7—ბ6 მფხ3—h2
17. მფხ6—ც5 h4—h3
18. მფც5—d4 მფხ2—h1
19. მფდ4—e3 h3—h2
20. ეფ5—g3!



თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს.

- 1. ედ5: h5 ...
2. ეფ5 ეა4 და იგებენ.
3. ეფ5: h7 მც7—e6+
4. მფ7—e8!
5. მფც6? მფ8+ მოგებით თუ 5. მფც8 ეა8+ 6. მფ7 ეფ5+ მოგებით.
6. მფ7—e8
7. მფ7—e8
8. მფ7—e8
9. მფ7—e8
10. მფ7—e8
11. მფ7—e8
12. მფ7—e8
13. მფ7—e8
14. მფ7—e8
15. მფ7—e8
16. მფ7—e8
17. მფ7—e8
18. მფ7—e8
19. მფ7—e8
20. მფ7—e8

შედგენილია ვ. ნიქსონთან ერთად. მესამე პრიზი—გაზეთ „ალმა-ატინ-სკაიას პრავდას“ კონკურსზე 1962 წელს.



თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს.

- 1. d7—d8!!
2. მფხ7? ეფ3+
3. მფც8 ეფ6 და იგებენ. თუ 1. d8ლ? ეფ3+ 2. ლd5 ე: d5x
3. მფა5—ა6
4. ასე უკეთესია. 1... ეფ3+ 2. მხ7+ მფა6 (ბ4) და პატი.
5. მფა6—ა5
6. მფა6—ა5
7. მფა6—ა5
8. მფა6—ა5
9. მფა6—ა5
10. მფა6—ა5
11. მფა6—ა5
12. მფა6—ა5
13. მფა6—ა5
14. მფა6—ა5
15. მფა6—ა5
16. მფა6—ა5
17. მფა6—ა5
18. მფა6—ა5
19. მფა6—ა5
20. მფა6—ა5

გარეკანის პირველ გვერდზე: გაზაფხული. ფოტო თ. ფურცხვა ნიძისა. მეოთხე გვერდზე: პეიზაჟი. ფოტო ე. ხააკაშვილისა. ჩანართის მეოთხე გვერდზე: 300 არაგველის ობელისკთან. ფოტო თ. არჩვაძისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. ლურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ვ. მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.
საბ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოღია. ტექნიკური დ. სუფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.
რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV ხაზთ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, ვ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.
ხელმოწერილია დასაბუქდად მ/ვ-64 წ. გამომც. № 54, ქალ. ზომა 70x108 1/2, 1,5 ქალ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79.
პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 24.000. შეკვ. № 1153, უე 04308
Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии
საქ. კვ ც-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.

გაზაფხულის პირთი ღღე



ფოტო მ. თურკიანი

◀ გული მღერის, ვარდ-
ფურცლობის დარია!





▶ საბურთალო. მეხუთე კვარტალი. სა-
ცაა მორიგი მატჩი დაიწყება.



— მე ფეიქრობ, სპორტის უველა სა-
ხეობას, ასკინჯილა სჯობს.

▼ მამა და შვილი.



ИНДЕКС 76056



ქართული
ენციკლოპედია

